საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლოესია.

შაბათი, 30 სექტემბერი. 2017 წ. №200 (8337), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მიუხედავად დაპირისპირებისა და ცემა-ტყეპისა, საკრებულომ გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღო

საკრებულომ თაბორის მთაზე 5 000 კვადრატული მეტრი ფართობის ტერიტორიისა და პუშკინის სკვერის მიმდებარედ 1900 კვადრატული მეტრი ფართობისთვის ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონის სტატუსის შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო. სხდომაზე თაბორის მთისა და პუშკინის სკვერის საკითხები გააერთიანეს და ერთად უყარეს კენჭი. 25 მომხრე, 3 წინააღმდეგი – ასეთია კენჭისყრის შედეგი. აღნიშნული საკითხის განხილვას საკრებულოს სხდომაზე დაპირისპირება მოჰყვა.

საკრებულოს შენობაში დაცვის გარდა სამართალდამცავებიც იმყოფებოდნენ. ოპოზიციასა და სამართალდამცავებს შორის დაპირისპირება სხდომათა დარბაზის წინაც გაგრძელდა. „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ წევრები საკრებულოს სხდომის გადადებას მოითხოვდნენ. ევროპული საქართველოს მერობის კანდიდატი ელენე ხოშტარია სხდომიდან სამართალდამცავებმა გაიყვანეს. საკრებულოს უმრავლესობის დეპუტატის გიორგი ტყემალაძის თქმით, თბილისში დამატებითი საპარკინგე ადგილების მშენებლობა ერთ-ერთი მთავარი საკითხია და ამისთვის ერთ-ერთი ლოკაცია სწორედ პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიაა.

ოპოზიცია აცხადებდა, რომ ეს გადაწყვეტილება ივანიშვილის კომპანიის სასარგებლოდ იქნა მიღებული.

შაბათიდან – შაბათამდე



დაპირებები, რომლებიც ჰაერში იფანტება

4

გიორგი ფოტჩიევი: რატომ უნდა დავივიწყოთ თბილისი?

დღეს სისულელეების დრო არ გვაქვს, პაციენტებს იქ სიარული ავუკრძალოთ

2

ბირთვული ბატალიები, რომლის კონტროლი მსოფლიოს სულ უფრო მეტად უჭირს

8

ბრაკონიერი ბარბაროსია!

დიახ, ტყემ აღდგენის უნარი დაკარგა!

5

6

ჯუანშერ ვათაძე:

ვინ იყვნენ პირველი ქართველი დასავლეთ-ევროპელები?

ტექდათვალიერება არ გადაიდება, მაგრამ ვერც დაიწყება?!

11



ზურაბ პოლოლიკაშვილი არგენტინის პრეზიდენტს შეხვდა

ესპანეთის სამეფოში საქართველოს ელჩი და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის არჩეული გენერალური მდივანი ზურაბ პოლოლიკაშვილი არგენტინის პრეზიდენტს მაურისიო მარკის შეხვდა.

არგენტინის პრეზიდენტმა ზურაბ პოლოლიკაშვილს მიულოცა გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციაში გენერალურ მდივნად არჩევა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

საქართველოს ელჩმა მაურისიო მარკის გააცნო ორგანიზაციაში მუშაობის პრიორიტეტები და ამ მიმართულებით განიხილა არგენტინასთან თანამშრომლობის პერსპექტივები.

არგენტინაში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ელჩმა ესპანეთის სამეფოში შეხვედრები გამართა ასევე არგენტინის ტურიზმის მინისტრთან და ბუენოს-აირესის ტურიზმის ხელმძღვანელთან.

აღსანიშნავია, რომ ზურაბ პოლოლიკაშვილი არგენტინას მენდოსაში ღვინის გლობალური ტურიზმის კონფერენციის ფარგლებში სტუმრობს. საქართველოს ელჩმა კონფერენციის ოფიციალური გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა. ზურაბ პოლოლიკაშვილი არგენტინაში ვიზიტის შემდეგ ურუგვაის ესტუმრება, სადაც დაგეგმილია მისი შეხვედრები ურუგვაის პრეზიდენტთან, საგარეო საქმეთა და ტურიზმის მინისტრებთან.

ჟან-კლოდ იუნკერი: ევროკავშირი 2024 წლისთვის გაფართოვდება

ევროკომისიის ხელმძღვანელის ჟან-კლოდ იუნკერის განცხადებით, 2019-დან 2024 წლამდე, მას შემდეგ, რაც ევროკავშირს დიდი ბრიტანეთი დატოვებს, ევროკავშირის გაფართოებაა მოსალოდნელი.

,,ევროკავშირში 2019 წლის მარტამდე 27 ქვეყანა იქნება და მომდევნო 5 წელს — 27-ზე მეტი“ — დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირი 2019 წლის 29 მარტს უნდა დატოვოს. ამ დროისთვის, ევროკავშირში გაწევრიანების ოფიციალური კანდიდატები არიან ალბანეთი, მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი და თურქეთი.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ნაწილი ივანიშვილს ოფიციალურად გადაეცა

ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებულ კომპანია „ბიზნესდეველოპმენტს“ ბათუმის ბოტანიკური ბაღის სანაპირო ზოლსა და მწვანე კონცხის ნაწილზე მიწის ნაკვეთები გადაეცა. საუბარია ბოტანიკური ბაღის სანაპირო ზოლის 6 ათას კვ. ტერიტორიისა და 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემაზე. კომპანიისთვის ტერიტორიის გადაცემას მხარი საკრებულოს 11-მა წევრმა დაუჭირა. ხმის მიცემამდე საკრებულოს სხდომაზე ხმაურიც იყო. ოპოზიცია ტერიტორიის „ბიზნესდეველოპმენტისთვის“ გადაცემას აპროტესტებდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები საკითხის დღის წესრიგიდან ამოღებას ითხოვდნენ. მათი თქმით, ამ მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია დღეს დილით განხორციელდა, ბათუმის საკრებულო კი მას შემდეგ შეიკრიბა, რაც მათი განცხადებით, სერიოზული დარღვევაა.

„უნიკალური ბოტანიკური ბაღის ნაცვლად, რომლითაც არა მხოლოდ ბათუმელები, არამედ ყველა ვამაყობდით, გვექნება ბიძინა ივანიშვილის სასტუმროს ეზო,“ — განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიორგი კირთაძემ. საკრებულოს თავმჯდომარემ კი, სხდომა ჩვეულ რეჟიმში განაგრძო.

უკრაინაში საქართველოს რუკა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე აჩვენეს

ქვეყნის მთავარი სამხედრო პროკურორი ბრიფინგზე შავი ზღვის რეგიონის რუკის ფონზე იდგა, სადაც საქართველოს შემადგენლობაში ოკუპირებული რეგიონები არ იყო ასახული. ანატოლი მატიოსი თავდაცვის სამინისტროს ობიექტზე მომხდარ მასშტაბურ აფეთქებაზე საუბრობდა.

გიორგი ტოტჩიევი: რატომ უნდა დავივიწყოთ თბილისი?

დღეს სისულელეების დრო არ გვაქვს, პაციენტებს იქ სიარული ავუკრძალოთ

ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის ახალმა დე ფაქტო მინისტრმა გიორგი ტოტჩიევმა „მინისტრობის“ პირველი 100 დღე შეაჯამა. ახალი დე ფაქტო მინისტრი კოლექტივს მიმდინარე წლის 7 ივნისს წარუდგინეს. ეს საკადრო გადაწყვეტილება მაშინ ადგილობრივთათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იმ ფონზე, რომ სამედიცინო მომსახურების ხარისხი ოკუპირებულ რეგიონში ყველაზე მტკივნეულად რჩება.

საზოგადოების ბოლო ემოციური პროტესტი შეღავათებით მოსარგებლეთა მედიკამენტებით მომარაგებაში შექმნილ პრობლემებსა და ოკუპირებული „რესპუბლიკის“ ერთადერთი მსხვილი სამედიცინო დაწესებულების — „რესპუბლიკური სომატური საავადმყოფოს“ მუშაობის ორგანიზებას უკავშირდებოდა.

„სადღეისოდ ჩვენი ჯანდაცვა ულრმეს კრიზისშია. სამწუხაროდ, ან, შესაძლოა, საბედნიეროდაც, დღეს დამნაშავეთა ძებნის დრო არ არის. სასწრაფოდ უნდა დავსხდეთ და დავფიქრდეთ, როგორ გამოვიდეთ უმოკლეს დროში ამ კრიზისიდან. თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ ესეც არა საათებისა და დღეების, არამედ თვეების სკრუპულოზური, დაუღალავი და მიზანმიმართული მუშაობის საქმეა“, — განაცხადა ახალმა დე ფაქტო მინისტრმა.

ამასთან, ტოტჩიევმა დაადასტურა, რომ მის უწყებას სფეროების მიმართულებით ზუსტი სტატისტიკური მონაცემები კვლავინდებურად არ გააჩნია:

„სამწუხაროდ, ჩვენთან სტატისტიკას, რომლის საფუძველზეც ხდება ნებისმიერ ცივილიზებულ სახელმწიფოში საჭიროებების განსაზღვრა, პოტენციური რისკების შეფასება და შემდგომ საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს, მათ შორის მედიკოსთა საქმიანობის განვითარების დაგეგმვა, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სამინისტროს აპარატს მიეცა დავალება, ერთთვიან ვადაში ყველა სტატისტიკური მონაცემი რუსეთის სტანდარტულ ფორმებთან შესაბამისობაში მოიყვანოს. სხვა თუ არაფერი, ციფრებისა და სხვა შესაბამისი მონაცემების გარეშე სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტი ვერ განისაზღვრება“.

ამ კონტექსტში ტოტჩიევმა აღნიშნა, რომ „ჯანდაცვის სფეროს დაფინანსების შემცირებაზე საუბრები თავის მოტყუებაა და რომ ასეთ შემთხვევაში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება უბრალოდ შეუძლებელი იქნება“:

„არ უნდა ვატყუებდეთ ერთმანეთს, თითქოს დიაგნოსტიკის სუპერთანამედროვე შესაძლებლობების შემოღებასთან დაკავშირებით რატომღაც შევძლებთ რესურსების ეკონომიას. პირიქით, ჩვენ დავხარჯავთ მეტ სახსრებს ხარისხიან დიაგნოსტიკაზე. ეკონომიით კი იმ სახსრების ეკონომიას ვაპირებთ, რომელსაც ამჟამად რესპუბლიკა ხარჯავს, რათა ჩვენმა პაციენტებმა მოსკოვში, ვლადიკავკაზში ან ნალჩიკში ჩააღწიონ იგივე მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფიის ჩასატარებლად“.

საუბარი შეეხო ოსი პაციენტების საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მკურნალობის თემასაც. კერძოდ, ჟურნალისტებმა იკითხეს, „რამდენად სწრაფად დასრულდება კრიზისი ოსურ ჯანდაცვაში და რესპუბლიკის მაცხოვრებლები შეძლებენ, დაივიწყონ თბილისი?“, რაზეც დე ფაქტო მინისტრმა განაცხადა:

„და რატომ უნდა დავივიწყოთ?! ვინმე თქვენს მეხსიერებაზე გავლენის მოხდენას ცდილობს? არ უნდა დავივიწყოთ. პირიქით, უნდა დავძაბოთ მეხსიერება და შევადაროთ იგივე თბილისში დახმარების ხარისხი იმას, რომელიც გვექნება ცხინვალში. აი, როდესაც გექნებათ ცხინვალში მედიკოსებთან ურთიერთობის პოზიტიური გამოცდილება, თავადვე დაანებებთ თბილისში სიარულს თავს. დღეს სისულელეების დრო არ გვაქვს, რომ პოტენციური პაციენტებისთვის თბილისში, მოსკოვში ან ისრაელში სიარულის აკრძალვაზე ვიფიქროთ. ეს უბრალოდ შეუძლებელია! საზღვარგარეთული პასპორტის მქონე მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, შეუფერხებლად გადაკვეთონ საზღვარი და გადაჭრან საკუთარი პრობლემები იქ, სადაც ისურვებენ. მსოფლიო სადღეისოდ ღიაა, გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ. ჩვენ სხვა საკითხი გვაინტერესებს: რატომ ხდება ეს იმ ადგილებში, რომელიც დახურულია საზღვრის გადაკვეთისთვის? — იმიტომ, რომ სადღეისოდ ამ მოქალაქეებს ვერ ვეხმარებით. და იქმნება ექსტრემალური პირობები, როდესაც გვიწევს, ვუფრთხილდებით რა თითოეული მოქალაქის სიცოცხლეს, წითელი ჯვრის შუამავლობით ამ უკიდურეს — იძულებით ზომას მივმართოთ“.

რამდენიმე კვირის წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში ამ საკითხს დე ფაქტო პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვიც შეეხო და განაცხადა, რომ ქართულ კლინიკებში ოსი პაციენტების რაოდენობა უნდა შემცირდეს.

* * *

ოკუპირებული **რეგიონების მკვიდრთა სამედიცინო დახმარების ე.წ. რეფერალური პროგრამა საქართველოში ჯერ კიდევ მისეულ სააკაშვილის დროს ამოქმედდა და ერთ-ერთია წინა ხელისუფლების იმ მცირერიცხოვანი ინიციატივებიდან, რომელთა შენარჩუნებაც „ქართული ოცნების“ მთავრობამ გადაწყვიტა. ითვლება, რომ ეს ძალზე წარმატებული პროექტია ხალხებს შორის ნდობის აღდგენის მიმართულებით.**

მიმდინარე წლის იანვრიდან აგვისტომდე პერიოდში **საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მკურნალობა ოკუპირებული აფხაზეთის 543-მა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის 322-მა მკვიდრმა გაიარა. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მხოლოდ 2017 წლის იანვრიდან ივნისამდე პერიოდში სამკურნალოდ 322 პაციენტი, მათ შორის, 46 ბავშვი ჩამოვიდა და მათ მკურნალობაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მილიონ ლარამდე (898, 852) თანხა დაიხარჯა. ჯამში კი 2015 წლიდან 2017 წლის 19 ივნისამდე პერიოდში აფხაზი და ოსი პაციენტების მკურნალობაზე 12 მილიონ ლარზე მეტია დახარჯული.** ამასთან, როგორც ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, ორივე ოკუპირებული რეგიონიდან ჩამომავალი პაციენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

თუმცა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებსა და გალის ოკუპირებული რაიონის მცხოვრებთ ამ პროგრამის მიმართ სამართლიანი პრეტენზიები აქვთ: საქართველოს მოქალაქეობის არმქონე აფხაზებსა და ოსებს ხომ ჩვენთან საქართველოს მოქალაქეების მიერ გადახდილი გადასახადების ხარჯზე სრულიად უფასოდ მკურნალობენ, სახელმწიფო სრულად ფარავს მათი მკურნალობის ყველა ხარჯს ზედმეტი კითხვებისა და ბიუროკრატიული შეფერხებების გარეშე, მაშინ, როცა საქართველოს მოქალაქეებს შორის მსგავსი სერვისები მხოლოდ ყველაზე ძვირადღირებული სადაზღვევო პაკეტების მფლობელებისთვისაა ხელმისაწვდომი. გალელი ქართველების შემთხვევაში კი მკურნალობა ან მათი ჯიბიდან უნდა დაფინანსდეს, ან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, რომელიც სულ უყველაფრობას კი სჯობს, თუმცა ბევრად უფრო შეზღუდულია და ნაკლებ კომფორტული, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე აფხაზებისა და ოსებისთვის გათვალისწინებულ რეფერალურ პროგრამასთან შედარებით.

ამ მხრივ არსებული ერთგვარი „პოზიტიური დისკრიმინაციის“ აღმოსაფხვრელად საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გალის ოკუპირებული რაიონის მკვიდრთათვის ჯანდაცვის სპეციალური პროგრამა აამოქმედოს. თუმცა როგორც „აქცენტს“ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ჯანდაცვის მინისტრმა ქეთი ბაკარაძემ განუმარტა, ამ დროისთვის მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება არსებობს და საკითხის კანონმდებლობის დონეზე დარეგულირებამდე ბენეფიციარების საქმეები ინდივიდუალურ რეჟიმში განიხილება.

მისივე თქმით, რამდენიმე გალელმა ბენეფიციარმა 100%-იანი დაფინანსება უკვე მიიღო.

ფეხბურთის ლეგენდიდან ენერგეტიკის რევოლუციამდე

ვინ იყო კახა კალაძე?

ერთი ენერგიული, მიზანსწრაფული ახალგაზრდა, რომელმაც თავისი ნიჭის, შრომისა და თავდადების წყალობით, შეუძლებელი შეძლო და ქართულ ფეხბურთს სახელი გაუთქვა არა მარტო ევროპაში, არამედ მსოფლიოშიც. იგი იმ ქართველ ლეგენდად ქცეულ ფეხბურთელთა შორის ჩაეწერა, რომლებმაც გარემოებათა გამო უცხოეთში ვერ შეძლეს მოღვაწეობა, მაგრამ ფეხბურთის ისტორიაში დასამახსოვრებელი ეპოქა შექმნეს. მან თავისი თავმდაბლობითა და მიზანსწრაფულობით ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივარს შეაყვარა თავი და ერთგვარ კერპად იქცა.

შემდგომ მისი წარმატებული ბიზნესი უცხოეთში, ღია, სუფთა და შეულახავი რეპუტაცია. ბოლოს, როდესაც თავისი სამშობლო ტოტალიტარიზმის, კორუფციისა და დიქტატურის მარწუხებმოჭერილი გაუსაძლის მდგომარეობაში ჩავარდა, კახამ იმ მრავალ პატრიოტს შორის დაიკავა ადგილი, რომლებიც ძველ რეჟიმს ებრძოდნენ. დაბრუნდა სამშობლოში და ახლა თავისი ენერგია, ნიჭი და მონდომება, რეჟიმის დამარცხებას მოახმარა.

ვინ არის კახა კალაძე?

ღირსეული მამულიშვილი, წარმატებული მინისტრი, უკეთილშობილესი პიროვნება, თავდადებული და რაც მთავარია, ქვეყნის ტრადიციებისა და ოჯახის სიწმინდის დამცველი. ქველმოქმედი, რომელიც უჩუმრად აკეთებს თავის საქმეს, ერთგული ადამიანი, რომელმაც ერთხელ არჩეულ გზას, გვერდით დადგომოდა ბატონ ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ დასახული მიზნებისა და დაპირებების შესრულებაში, ერთხელაც არ უღალატა, ბოლომდე გაჰყვა, მიუხედავად ბევრი შინა თუ გარეშე ძალების ზემოქმედებისა.

კაცთმოყვარე და საქმის მოყვარე ადამიანი. ყველას გემახსოვრებათ თბილისის ტრაგედიის დროს, როდესაც მეწყერმა და აბობოქრებულმა მდინარე ვერემ წალეკეს ჯერ დედაქალაქის შემოგარენი და შემდეგ, დედაქალაქის ცენტრი, დაინგრა სახლები და შეიწირა ათობით ადამიანის სიცოცხლე, როგორ ებრძოდა სტიქიას იგი მაშველებთან და მოხალისეებთან ერთად, როგორ იხსნა რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე. ის კადრებიც ყველას ემახსოვრება, როცა დიდთოვლობის დროს აჭარის მაღალმთიანეთში ღამეებს ათენებდა თანამშრომლებთან ერთად დაზიანებული ელექტროხაზების შესაკეთებლად მიუვალ ადგილებში, მაგრამ დიდი კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, — „ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს: მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყავვები“. ასე მოხდა ამჯერადაც, ბევრმა შურით, ბევრიც ოპოზიციის მანტიას ამოფარებული, ბევრიც პოლიტიკოსის ნიღაბმორგებული, ბევრიც ოპონენტი ამ წინასაარჩევნო პერიოდში, გესლის ნთხევითა და უსაბუთო ბრალდებებით აკრიტიკებენ მოწინააღმდეგეებს. არც ახალგაზრდა მინისტრს დაჰკლებია შემოტევები და ცილისწამებები, მაგრამ ხალხი ყველაფერს ხედავს, მის მიერ გაკეთებული სიკეთეც აშკარაა, მის თავდადებასაც შედეგი მოაქვს და კახას მათი ნასროლი ტალახი ვერაფერს ავნებს. იგი ჩვეული ენერგიით განაგრძობს საქმის კეთებას.

ფაქტები გინდათ?

კახა კალაძის მინისტრობის დროს ქართულ ენერგეტიკაში ნამდვილი რევოლუცია მოხდა, ხუთი წლის მანძილზე ამ ენერგიული და საქმისადმი თავდადებული ახალგაზრდის, ენთუზიასტისა და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ხელმძღვანელის წყალობით, მაშინ, როდესაც არავის სჯეროდა მისი პროფესიონალობისა და, ბევრი მისი კოლეგისაგან განსხვავებით, თითქოსდა დილეტანტად მიაჩნდათ, ექსპლუატაციაში შევიდა 21 გენერაციის წყარო. მათ შორის 18 ჰიდროელექტროსადგური, ორი თბოსადგური და ერთიც, ქარის ელექტროსადგური „ქართლი“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო ევროპაში, არამედ მსოფლიოშიც. 70-იანი წლების შემდეგ საქართველოს ენერგეტიკაში ასეთი აღმავლობა, ასეთი მასშტაბური ინვესტიციები (საერთო ღირებულება 1 მილიარდ დოლარზე მეტი) არ განხორციელებულა.

არ ვიცოდი და შევიტყვე, რომ 2016 წელს საქართველო ევროპული ენერგეტიკული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა, განა ეს დიდი მიღწევა არ არის? მისი მინისტრობის დროს ენგურჰესის უნიკალური კაშხალი მოხვდა ევროპული კულტურის ინდუსტრიული მემკვიდრეობის სიაში. ძნელი დასაჯერებელია და საქართველოში ყოფილა ისეთი სოფლებიც, რომელთაც ელექტროენერგია ათეული წლებია, არ მიეწოდება და ბატონი კახას მინისტრობის დროს 30-ზე მეტ უშუქო სოფელს მოეხსნა ეს პრობლემა. ის კი არადა, ყველასგან მიტოვებულ ისტორიულ სოფელ მუცოშიც აშენდა ჰიდროელექტროსადგური, რომელიც არა მარტო სოფელს, არამედ ისტორიული ძეგლების განათებასაც ემსახურება. განხორციელდა უმსხვილესი საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტი „შუახევიჰესი“, რომელიც ბოლო 50 წლის მანძილზე აშენებული ჰიდროელექტროსადგურებს შორის ყველაზე მსხვილია.

რომელი ერთი ჩამოვთვალო, მართლაც შორს წაგიყვანთ, მაგრამ მთავარს ვიტყვი, ამ მშენებლობის დროს და მის შემდეგაც ათასამდე საქართველოს მოქალაქე დასაქმდა. ეს ცოტა არ არის ჩვენს პირობებში, ერთი ნაცნობი ვეტერანი ენერგეტიკოსი მეუბნებოდა, არ არსებობს ვეტერან ენერგეტიკოსთა შეხვედრა, ბატონი მინისტრი არ დასწრებოდეს შეძლებისდაგვარადო. მან ყველა ჩვენი პრობლემა იცის, გვეხმარება მატერიალურად და დაბადების დღესაც პირადად გვილოცავსო.

ამიტომაც მჯერა, რომ კახა კალაძე, ეს ოჯახისშვილი, ენერგიული, პატრიოტი ადამიანი, რომელმაც მართლაც რევოლუცია მოახდინა ქართულ ენერგეტიკაში, რომელიც მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად და, რაც მთავარია, უხმაუროდ აკეთებს, დედაქალაქის მერად არჩევის შემთხვევაში მართლაც რომ სასიკეთო ხელს დაატყობს ჩვენს ქალაქს. მან ხომ ყველა პრობლემა იცის ქალაქისა და ჩვეული ორგანიზატორული ნიჭით არაფერს გაუჭირვებს თბილისელებს.

ჩემო თბილისელებო, მე მჯერა კახა კალაძის და სხვა წარდგენილ მერობის კანდიდატთა შორის ყველაზე წარმატებულად მიმაჩნია.

დიმიტრი კოტეტიშვილი

მოსწავლე ახალგაზრდობისა და აგრარიკოს მეცნიერთა თანამშრომლობა

2017 წლის 28 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით ჩატარდა შეხვედრა ქ. თბილისის 31-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებთან. მოსწავლეები გაეცნენ აკადემიის სამეცნიერო საქმიანობას, დაათვალიერეს აკადემიის საგამოფენო დარბაზი და მისი ექსპონატები, ესაუბრენ აკადემიის თანამშრომელებს.

თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელს აწერენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე და ქ. თბილისის 31-ე საჯარო სკოლის დირექტორი მარინე ნიჟარაძე.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა ამ შეხვედრის მნიშვნელობა და მოსწავლეებს განათლებისა და მეცნიერებისკენ მიმავალ გზებზე ესაუბრა, განსაკუთრებით აღინიშნა აგრარული მეცნიერების როლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილიზაციის მიმართულებით.

აკად. გურამ ალექსიძემ და 31-ე სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მარინე ნიჟარაძემ ხელი მოაწერეს აკადემიასა და სკოლას შორის თანამშრომლობის მემორანდუმს, სადაც ერთხელ კიდევ ხაზი გაესვა გამოჩენილი მეცნიერებისა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი კავშირების მნიშვნელობას. შეხვედრაზე მოისმინეს საჯარო ლექციები თემებზე: „მზის სისტემა, გეოგრაფია, ბიომრავალფეროვნება და ადამიანის როლი ბუნების შენარჩუნებაში“ (მომხსენებელი აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, დოქტ. რევაზ ლოლიშვილი) და „გლობალური-ეკოლოგიური პრობლემები და ზოგადსაკაცობრიო ბუნების ფილოსოფია ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში“ (მომხსენებელი აკადემიის თანამშრომელი, დოქტ. ირინა ბახტაძე).

ლექციებმა მსმენელებში დიდი ინტერესი გამოიწვია — მოსწავლეებმა დასვეს მრავალი შეკითხვა, გამოთქვეს აზრი.

შეხვედრას ესწრებოდნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გ. ჯაფარიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკად. ე. შაფაქიძე, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტ. ა. გიორგაძე, სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, დოქტ. მ. ბარვენაშვილი, პრეზიდენტის თანაშემწე საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში თ. ეპიტაშვილი, აკადემიის აპარატის თანამშრომელები.

შეხვედრის დასასრულს აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ მოსწავლეებს საჩუქრად გადასცა აკადემიის მეცნიერთა მიერ დამუშავებული მონოგრაფიები და წიგნები, საჯარო ლექციების ავტორებმა კი მოსწავლეებს გადასცეს ამ ლექციების დაბეჭდილი ეგზემპლარები.

ანუკი კეთილაძე

დაპირებები, რომლებიც ჰაერში იფანტება



როცა აგრესიული ლიბერალები (ანუ ტროცკისტები) ევროპული და ამერიკული ფსევდოღირებულებების კრიტიკის შემთხვევაში გაიძახიან, რომ ეს რუსული პროპაგანდაა იმ მიზეზით, რომ რუსებს ევროპა და ამერიკა არ უყვართო, მინდა, ვკითხო: იქნებ ისლამური რესპუბლიკის, ან ჩრდილოეთ კორეის პროპაგანდაა? როგორც ვიცი, არც მაგათ უყვართ ევროპა და ამერიკა.

მოახლოვდა არჩევნები, მაგრამ საზოგადოება ბოლომდე მაინც ვერ ჩამოყალიბდა, თუ რა არჩევანი უნდა გააკეთოს. ცხადია, არ ვგულისხმობ არც პარტაქტივს, არც ფანატიკოსებს და არც ადმინისტრაციულ რესურსს, რომელიც მიშას „ეპოქიდან“ განსხვავებით ხშირ შემთხვევაში შვლის ნუკრის თვალებით უქნევენ თავს თავიანთ ხელმძღვანელს, მაგრამ გულში ვისი დაბრუნება ენატრებათ, კაცმა არ იცის.

წესით იმ შეკითხვებს, რომლებიც ამომრჩეველს აქვს და რაც ცრო გადის, კიდევ უფრო მძაფრად აწუხებს, მედია და მედიით გასული ის ე.წ. „დებატები“ უნდა იძლეოდეს, რომელსაც ყოველი არჩევნების წინ თითქმის ყველა ტელეკომპანია გვთავაზობს და რომელიც, ჩემი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ წყლის ნაყვაა. თუ რატომ, ამას ახლავე მოგახსენებთ.

საკმაოდ საინტერესოა მმართველი გუნდის მიერ დებატების დროს ეკონომიკურ ზრდაზე აპელირება, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსახლეობა რეალურ შედეგს ვერ ხედავს. ეს დაახლოებით ისე ჟღერს, დროის მანქანით პირამიდის მშენებლობის დასაწყისში რომ გადავიდეთ და რომელიმე ნომარქოსმა გვითხრას: – აქ აშენდება ხეოფსის პირამიდა, რომელიც მთელ მსოფლიოში ყველაზე მაღალი იქნება. აი, ნახეთ – ეს ტენდერში გამარჯვებული მონათმფლობელია, ეს კი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ეგვიპტეში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლითაც ნიანგის ტყავის წარმოებით მესამე ადგილზე ვართ. სულ მალე ამ ყველაფერს ეგვიპტის მოსახლეობა საკუთარ ტყავზე, უკაცრავად, საკუთარ ქისაზე იგრძნობს.

რაც შეეხება იმ ორ პოლიტიკურ ძალას, რომლებსაც მეორე პოლიტიკურ და მთავარ ოპოზიციურ ძალაზე აქვთ პრეტენზია, მათი მესიჯები, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. ნაცები კვლავ აგრესიულად არიან განწყობილი, რაც მათი ლიდერების კომენტარებში თუ პოლიტიკურ განცხადებებში ძალიან ამაზრზენად ხმიანდება, ხოლო „ევროპელი ქართველები“ იმ ნიანგს ჰგვანან, რომელიც ცრემლებს ღვრის და ელოდება, თუ როდის მიუახლოვდება ამ ცრემლებისგან მოტყუებული მსხვერპლი, რათა თავისი კბილებით ბოლო მოუღოს.

ნუ გჯერათ ხალხო ნაცებისგან „გარკვეული შეცდომების აღიარების“. ნუ გჯერათ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი არასოდეს არ აკონკრეტებენ, თუ რა „შეცდომები დაუშვეს“. ერთადერთი გიგი უგულავამ „აღიარა“, რომ „თეატრალური კვარტეტის“ ალპინისტ-დამლაგებლებად გაფორმება მისი შეცდომა იყო.

ასევე ბლეფია ფრაზა „პოლიტიკური პასუხისმგებლობა“.

ბლეფია, რადგანაც არც ამ შემთხვევაში აკონკრეტებენ, თუ როგორი ფორმით აპირებენ ამ პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებას. მოკლედ რომ ვთქვა, რაც არ უნდა დაირქვან, ეგ ორივე „ფრთა“ იმ აფთრის ლეკვები არიან, რომლებიც მოუთმენლად ელოდებიან თავის დროს.

პატრიოტთა ალიანსის გუნდი, რომელიც, ფაქტობრივად, მსგავს დებატებში გამოუცდელია, ამომრჩეველს ისეთ მესიჯებს სთავაზობს, რომელიც მოსახლეობისთვის ნამდვილად საჭირბოროტოა, ხოლო თავად ინაშვილის მკვეთრი და შემზარავი განცხადებები ე.წ. კოჰაბიტაციასთან და თავად კოჰაბიტანტებთან მიმართებაში, პირდაპირ მიზანში ურტყამს და საზოგადოების დიდ ნაწილს, ამ უკვე ყელში ამოსული „თანაცხოვრებისგან“ განთავისუფლების იმედს აძლევს. სამწუხაროდ კანდიდატთა უმრავლესობის გამოსვლები ვერ პასუხობს ჩვენში დამკვიდრებული „დებატების ვითომდა დასავლურ სტილს“ და ძირითადად ეროვნული მოძრაობის პერიოდის პათეტიკით არის გაჯერებული, მაგრამ ეს ელექტორატის გარკვეულ ნაწილზე მაინც მოქმედებს.

საკმაოდ გამაღიზიანებელია არჩევნების მიმართ ნინო ბურჯანაძის დამოკიდებულება. თუ აქამდე შეიძლებოდა მისი „აქტიური პასიურობა“ სხვადასხვა პოლიტიკური მოტივებით აგვეხსნა, დღეს ამომრჩეველს უჩნდება უმარტივესი შეკითხვა: – რა, ქალბატონ ნინოს არ ეკადრება არჩევნებში თავად მიიღოს მონაწილეობა? სწორედ ამ „აქტიური პასიურობის“ გამო, მისი ერთ დროს საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი გუნდი აშკარად ვერ პასუხობს დღევანდელობის გამძაფრებულ მოთხოვნებს.

პოლიტიკოსთა მხრიდან, ხშირად ისმის ხალხის დამუნათება იმაში, რომ საზოგადოება არ ეცნობა მათ პროგრამებს, არ კითხულობს მათ ბუკლეტებს და არჩევანს მხოლოდ ლიდერის მიმართ სიმპათია-ანტიპათიის მიხედვით აკეთებს.

კი ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ იმ პროგრამებში რას გვთავაზობთ ისეთს, რასაც სხვა არ გვეუბნება? თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის გზავნილი, ხომ კოპი-პეისტით არის გაკეთებული და განსხვავება მხოლოდ ბუკლეტების პირველ გვერდზე დაბეჭდილ ფოტოებშია. დასაქმება, სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა, პრემია-დანამატების და ბიუროკრატიის შემცირება დ.ა.შ.

ნუთუ ვინმეს სჯერა ამ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების? (თუ გეგულებათ ეგეთი, ისიც მაჩვენეთ).

ტელევიზიის ეკრანებიდან ნასროლი ლოზუნგები, ფრაზები, რომლებიც თქვენზე უკეთ ვიცით, დაყენებული სახეები და მოკრივეების მსგავსად, რინგზე გასვლის წინ ლოყებზე ხელების ტყაპუნით გამოწვეული „აღგზნება“ წარსულს ჩაბარდა. აღარ გვჯერა, ბატონებო, აღარ გვჯერა!

თუ გინდათ, რომ თქვენი აზრები ზუსტად მივიდეს ხალხთან, ბეჭდურ მედიას მიმართეთ. მიეცით ვრცელი ინტერვიუები, სადაც ზუსტად განმარტავთ, რა გსურთ და რისი თავი გაქვთ, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ გაზეთში დაბეჭდილი სტატიით თქვენ მკითხველთან, საზოგადოებასთან ერთი-ერთზე რჩებით. ნაბეჭდი მასალა ტელეგადაცემაში დათმოებილი სამი წუთი არ არის და როდესაც იმ თქვენთვის გაწკუთვნილ დროში ოპონენტი გეჩრებათ, ხოლო მსმენელამდე არც თქვენი და არც ოპონენტის აზრები ვერ მიდის.

ტელეგადაცემა დამთავრდა და იმავ წუთს სხვა იწყება. იწყება კონცერტი, ან რაიმე გასართობი შოუ, ან მაყურებელმა სხვა არხზე გადართო ტელევიზორი. დამერწმუნეთ, რომ ხალხს თქვენ მიერ ნათქვამი გენიალური ფრაზები მაშინვე ავიწყდება და თუ ოპონენტს რაიმე უცენზურო, ან უშვერი სიტყვა არ უთხარით, თუ წყალი არ შეასხით, ან საცემრად არ გამოეკიდეთ, ზუსტად ათ წუთში, უკვე დავიწყების ბინდი გფარავთ. რაც არ უნდა გაქონ თქვენმა მხარდამჭერებმა – აუუ, რა მაგარი გამოსვლა გქონდაო, დამერწმუნეთ, რომ ან გატყუებენ, ან ის სიტყვა გაიგონეს, რაც მათ სურდათ და რაზეც თავად აქვთ ნაფიქრი.

გაზეთი კი სულ სხვა ინსტიტუტია. დივანზე წამოწოლილი მკითხველი ცალი თვალით გახედავს ტელევიზორს და ისევ გაზეთს უბრუნდება. წაკითხული დიდხანს რჩება თავში. მეზობელთან, ან თანამშრომელთან პოლიტიკური პროცესების გარჩევის დროს, პირდაპირ დაუდებს ფაქტს და არ სჭირდება ფრაზის თქმა – გადაახვიე და ნახავ (ნეტა რამდენი ადამიანი ნახულობს გამოტოვებულ პოლიტიკურ გადაცემას „გადახვევით“?)

და უმთავრესი მიზეზი, თუ რატომ უნდა იყვნენ პოლიტიკოსები ბეჭდურ მედიასთან აქტიურ, სამუშაო რეჟიმში: დღეს გაზეთს ელექტორატის, ამომრჩევლის 90% კითხულობს და ძირითადად ის ადამიანები, ვინც არჩევნებზე დადის, ხოლო ტელემაყურებლების 60% პასიურია. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ფილმებისა და შოუების მაყურებელთა მხოლოდ 20-30% თუ წავა საარჩევნო უბანზე.

ამ ყველაფერმა კი ის გამოიწვია, რომ ჩვენი მოქალაქეების მრავალწლიანი პოლიტიზირების მიუხედავად, სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური ცხოვრება და ჯანსაღი პოლიტიკური პროცესები არ მიმდინარეობს. რისი უმთავრესი მიზეზიც ქართულ ე.წ. პოლიტელიტაში დამკვიდრებული „ბრეჟნევის“ სინდრომია.

მეორე მიზეზი კი ე.წ. ორპარტიული პოლიტიკური სივრცეა, რაც ოცნებასაც და ნაცებსაც ზუსტად ერთნაირად აწყობთ (მიუხედავად იმისა, რომ ნაცები ორად გაიყვნენ, მათი მენტალიტეტი, მსოფლმხედველობა და წარსულში ერთად ჩადენილი დანაშაულები მათ კვლავ ერთიან სისტემად წარმოაჩენს).

სწორედ ეს ორი პრობლემა საფუძველშივე კლავს საქართველოში პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღების მცდელობას.

ხალხს უკვე ყელში ამოუვიდა ე.წ. პოლიტიკური სივრცის მონოპოლისტების მიერ „პინგ-პონგის“ თამაში შეძახილებით: თქვენი სისხლიანი ცხრა წელიწადი და თქვენი უნიათობა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პოლიტიკურ ველზე არის მესამე და საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ სახით, საინფორმაციო სივრცის მონოპოლიზირების საშუალებით, ხელისუფლებაც და ნაცებიც თავისუფლად ახერხებენ მათს გვერდზე ჩაჩოჩებას. ცხადია, ამ შემთხვევაში მხოლოდ „რუსთავი-2“-ს და „იმედს“ არ ვგულისხმობ. ამ შემთხვევაში უმთავრეს როლს თამაშობს სხვადასხვა სახის ინფორმაციის გავრცელების ის ფორმა, რომელსაც ისინი იყენებენ. მათ შეუძლიათ სხვადასხვა მეთოდით საზოგადოებას მიაწოდონ მესიჯი, რომ რუსეთი მტერია და მას მხოლოდ მაშინ უნდა დაველაპარაკოთ, როცა ნატოს წევრები გავხდებით, ხოლო დიალოგის ნებისმიერი მცდელობა, რომ პრობლემის არსს სათავეში, ანუ მოსკოვსა და ვაშინგტონში ურთიერთობების დარეგულირებით მივხედოთ, მაშინვე იჩქმალება.

ასევე საოცარია ე.წ. „რეიტინგებით“ მანიპულირება, რომლებსაც მონოპოლისტი პარტიები ახორციელებენ და მათი მსოფლმხედველობისგან განსხვავებულ აზრს, რომელიც „პატრიოტთა ალიანს“ გააჩნია, ჩამონათვალის მოკრძალებულ ადგილებზე „სვამენ“.

ამ ყველაფერს ზემოდან ემატება ე.წ. „სამოქალაქო სექტორი“, რომელიც, ფაქტობრივად, მმართველი ელიტის (ორივე პოლიტიკური მხარის) სატელიტს წარმოადგენს და მედიის მიერ მინიჭებული პრივილეგიებით კლავს სამოქალაქო სექტორის ნამდვილ არსს.

როცა აგრესიული ლიბერალები (ანუ ტროცკისტები) ევროპული და ამერიკული ფსევდოღირებულებების კრიტიკის შემთხვევაში გაიძახიან, რომ – ეს რუსული პროპაგანდაა იმ მიზეზით, რომ რუსებს ევროპა და ამერიკა არ უყვართო, მინდა, ვკითხო: იქნებ ისლამური რესპუბლიკის, ან ჩრდილოეთ კორეის პროპაგანდაა? როგორც ვიცი, არც მაგათ უყვართ ევროპა და ამერიკა.

ჩემო სექტორელებო, ცოტა გააფართოვეთ თვალსაწიერი, თორემ ნამეტანი ჩაიციკლეთ ამ რუსეთში.

დამერწმუნეთ – სანამ პოლიტიკური პროცესი არ გაჯანსაღდება, სანამ პოლიტიკურ ველზე რეალური თანაფარდობით არ იქნება წარმოდგენილი ჯანსაღი პოლიტიკური აზრი, მანამ იქნება საზოგადოების დაბნეული დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ.

დაბოლოს, მინდა, შევეხო ამ ე.წ. „პორტირებულების“ თემას, რაც პირველ რიგში მოსახლეობისთვის ძალიან გამაღიზიანებელია.

ნეტა რა ცოდნა და გამოცდილება აქვთ, ამ ე.წ. „პორტირებულებს“ ისეთი, რომ უმაგათოდ „კანონი არ სუფევს ცის კამარაზე და სამეურნეო სამუშაოები ვერ სრულდება უპორტირებულოდ“?

ჰო და მარტო პორტირებულებზე კი არ მაქვს საუბარი, აი ის ტიპებიც მაინტერესებს, რომლებზეც ამბობენ – „ეს დავნიშნოთ (ავირჩიოთ), დედას მოუტ....ავს საქმესო“. ისინიც ამართლებენ მოლოდინს და „საქმეს მართლა დედას უტ...ავენ“.

ნეტა ის მანახა, ვინც რეკომენდაციას უწევს ამათ.

არადა, გულწრფელად რომ ვთქვა, საინტერესოა, რა შედეგი მოაქვს სახელისუფლებო ძალისთვის ეგეთ „სახეებს“. დავიჯერო, მათ მიერ დედა მოტ.....ნული საქმე“ უფრო იაფი უჯდებათ, ვიდრე მერე თავის მართლება, საზოგადოებისგან დაშორება და ამ ყველაფრისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგები?

საკმაოდ მძიმე არჩევანის გაკეთება მოგვიწევს და ამიტომ კარგად

უნდა დავფიქრდეთ, კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ ყველაფერი და ჩვენი არჩევანი პირველ რიგში პოლიტიკური სივრცის გაცოცხლებისკენ უნდა გავაკეთოთ, თორემ მე პირადად ყველაზე ლამაზი ნიკოლ კიდმანი მგონია...

გია გაბრიჭიძე

დიახ, ტყემ აღდგენის უნარი დაკარგა!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 19 აგვისტოს ნომერში (167) გამოქვეყნდა ბექა დანელიას წერილი სათაურით „ბოლო წლებში ტყემ აღდგენის უნარი დაკარგა“. წერილში მეტად საგულისხმო და საგანგაშო ფაქტებია მოყვანილი. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ საქართველოში მოჭრილი ხუთი ხიდან ოთხი უკანონოა, ეს რომ ასეა, ბორჯომის საკურორტო ტყეების სავალალო მდგომარეობაც ცხადყოფს.

ამ თემაზე არაერთი წერილი გამოვაქვეყნე როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ გაზეთებში, მდგომარეობა კი დღითი დღე მძიმდება. როგორც ტყის დაცვის სპეციალისტები ამბობენ, ყოველდღიურად ბორჯომის ხეობის დაბა-სოფლებიდან (ახალდაბა, წაღვერი, ბაკურიანი, ჭობისხევი, ტაძრისი და სხვა) უნებართვოდ მოპოვებული სამასალე მერქნით დატვირთული 20 ავტომანქანაზე მეტი გაედინება. ბორჯომისა და ბაკურიანის სატყეო უბნების უფროსებმა ხე-ტყის დატაცების არაერთი ფაქტი გამოავლინეს, სამართალდამცავ ორგანოებსაც მიმართეს ოფიციალური განცხადებით, მაგრამ ვითარება არ გაუმჯობესებულა.

ვერ დავიჯერებთ მავანის განმარტებას, ტყეში იმიტომ შედიან, რომ მოსახლეობას სოციალურად უჭირს, სამუშაო არ აქვთ და ა.შ.

ტყეში გაჭირვებული ადამიანი სამასალე ხე-ტყის მოსაჭრელად ვერ შედის, მას უმალ დაიკავებს მეტყევე. გაჭირვებლებს ეკრძალებათ 12 სანტიმეტრზე მსხვილი ძირნაყარი ტოტის გამოტანა. არადა, ტყე გადავსებულია მიტოვებული ბოლოებით და ტოტებით. სოციალურად დაუცველს არც მოჭრის და არც მისი ტრანსპორტირების საშუალება არა აქვს. ტყეში დახელოვნებული ბრაკონიერი და მის ზურგს უკან მდგარი გავლენიანი მფარველები არიან, რომლებმაც ხე-ტყე მამასისხლად გასაყიდად და გამდიდრების წყაროდ გადააქციეს.

ძალიან გვაინტერესებს, იციან თუ არა ბუნების დაცვის სამსახურების წარმომადგენლებმა, ვინ არიან ხე-ტყის ბიზნესში ჩაბმული ადამიანები, რა პრევენციული ზომები გაატარეს ბრაკონიერთა წინააღმდეგ, სამაგალითოდ თუ დაისაჯა ვინმე?

როგორც თვითმხილველები ამბობენ, თბილისში, ელიავას ბაზრობაზე ბორჯომიდან ჩატანილი ერთი კუბმეტრი სამასალე მერქანი 500-600 ლარი ღირს, როგორც წესი, ხით დატვირთული მანქანები, რომლებსაც ნომრები არა აქვთ, ღამით გადაადგილდებიან. ნუთუ ეს არ იციან საპატრულო პოლიციის მუშაკებმა?

რედაქციაში აღმაშფოთებელი ფაქტები მოდის. მთელ რიგ სოფლებში ჭობისხევში, საკირეში, ტაძრისში, ტბაზე, ახალდაბაში, წაღვერში და სხვაგანაც სახერხი დაზგები პირდაპირ საცხოვრებელ ბინებში აქვთ მოწყობილი. ერთ-ერთ ოჯახში სახერხი დაზგა პიანინოს ჩამოფარებული ფარდის უკან ჰქონიათ დამონტაჟებული.

ხე-ტყის ბიზნესში ჩაბმულ პიროვნებებს ტყეში აქვთ მოწყობილი სახერხი დაზგები, ხის მჭრელები თვეობით უღრან ტყეში ცხოვრობენ, რომლებსაც ყოფაცხოვრებისა და მუშაობის პირობები აქვთ შექმნილი (ბინა, სამზარეულო, საწვავი და აშ.).

ამ ორიოდე თვის წინათ, წაღვერის მიდამოებში „გვირგვინას“ მთიდან, ხე-ტყით დატვირთული მანქანის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, ამოტრიალდა და... მძღოლი დაიღუპა, დანარჩენები სასწაულად გადარჩნენ.

მსგავსი ფაქტები ბევრია.

ტაძრისის ტყეში სამასალე ხით დატვირთული ხუთი მანქანა აღმოაჩინეს. ოთხი მძღოლი გაიქცა, ერთი დააკავეს, ალბათ, მანქანების მეპატრონეები კიდეც დაადგინეს, მაგრამ როგორ დაისაჯნენ, არავინ იცის.

გაზეთ „ბორჯომის“ 17 აგვისტოს ნომერში ვწერდით, რომ 14 აგვისტოს ეროვნული პარკის დირექციაში სიგნალი შევიდა ნეძვის აღკვეთილის სასაზღვრო ზოლში უკანონოდ მოპოვებული ხის ჭრის თაობაზე. დირექციამ მყისიერი რეაგირება მოახდინა ბრაკონიერების დასაკავებლად, ბრაკონიერებს ნაცნობებმა მობილურით შეატყობინეს ხიფათის შესახებ, მოპარული ხე-ტყე მანქანიდან ჩამოცალეს, არ დაემორჩილნენ მეტყევეთა მოთხოვნებს, შექმნეს ავარიული სიტუაცია და რეინჯერებს რომ არ ემარჯვათ, ბრაკონიერებთან დაპირისპირება ფატალური შედეგით დამთავრდებოდა.

ეროვნული პარკის დირექციამ სათანადო ინფორმაცია და ფოტოდოკუმენტაცია ბორჯომის პოლიციის სამმართველოს გადასცა შემდგომი რეაგირებისთვის, შედეგი ჯერჯერობით უცნობია.

* * *

ბორჯომის ხეობის საკურორტო ტყეებში გავლა შეუძლებელია, იმდენადაა დაბინძურებული უნებართვოდ მოჭრილი ხის ტოტებით და ბოლოებით, რაც ტყის დაავადებას ხელს უწყობს და ხანძრის გაჩენის წინაპირობაა.

სწორედაც რომ ხე-ტყის უკონტროლო ჭრამ და ბრაკონიერთა ტყეში დაუსჯელმა პარპაშმა დაარღვია ხეთა მდგრადობის სიხშირე, რამაც ხელი შეუწყო ტყეში დაავადებების გავრცელებას. 15-20 წელია, რაც ექვსკბილა ქერქიჭამია ანადგურებს ბორჯომის ხეობის ნაძვნარ კორომებს, სავალალო შედეგი სახეზეა — ბორჯომელთა ერთ-ერთი საყვარელი ტერიტორია — პლატო ფაქტიურად გაპარტახებულია და მის აღდგენას ათეულობით წლები დასჭირდება.

ფაქტია, ბორჯომის ხეობის ტყეებს განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროება, სამწუხაროდ, დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებები დღემდე ნაკლებ ეფექტურია. ორიოდე წელია, რაც პლატოს ტყეში დაიწყეს დაავადებული ხეების მოჭრა-გამოტანა და აღდგენითი სამუშაოები, თუმცა ეს სამუშაოები, რომ იტყვიან, კუს ნაბიჯით მიმდინარეობს.

* * *

2008 წელს დაბა-წაღვერის 1000 ჰექტარზე დამწვარი უნიკალური ტყის აღდგენის შესახებ ადრეც ვწერდით. განვლილი 9 წლის მანძილზე აქ აღდგენილი იყო დაახლოებით 100 ჰექტარი, რომლის საკმაო დიდი ნაწილი წლევანდელი აგვისტოს ხანძრის შედეგად კვლავ განადგურდა.

* * *

ცალკე საუბრის თემაა სატყეო დარგის კადრების დაბალი კვალიფიკაცია, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, დაბალი პროფესიონალიზმი. ხშირად ტყის დაცვა ჩაბარებული აქვს შემთხვევით პირებს, რომლებმაც დაკისრებული მოვალეობა მინიმალურადაც არ იციან, ამ ადამიანებს მიზერული ხელფასი აქვთ, ამიტომაცაა, რომ ხშირად თვით რეინჯერები არიან ხე-ტყის დამტაცებლები.

* * *

წაღვერში ტყის ხანძარმა აგვისტოში, 100 ჰექტარი შეიწირა, უფრო ადრე, ივლისში 30-50 ჰექტარი დაიწვა, ხოლო სექტემბრის ხანძრის შედეგები ჯერ არ დაუდგენიათ. 27 სექტემბერს მოსულმა წვიმამ რომ იტყვიან, სულზე მოუსწრო ნახანძრალ ტერიტორიას.

* * *

საგულისხმოა ისიც, რომ რესპუბლიკის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ხანძრის სალიკვიდაციოდ. ასეთი ერთსულოვნება, ხალხის და ტექნიკის მობილიზება, საერთაშორისო ორგანიზაციების პრაქტიკული დახმარება საქართველოს არ ახსოვს, რაც ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დიპლომატიის უდიდეს გამარჯვებად მიმაჩნია.

სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად თითქმის ყველა რეზერვია ამოქმედებული, მეხანძრეები, მაშველები, ჯარი, შესაბამისი ტექნიკის მექანიკოსები და ვერტმფრენების მფრინავები მართლაც თავგანწირვით ებრძოდნენ გამძვინვარებულ ცეცხლს, რთული რელიეფური პირობების მიუხედავად, ხანძარი ლიკვიდირებულია. ამჟამად მიმდინარეობს ნახანძრალი ტერიტორიის ყოველდღიური მონიტორინგი. ჩვენი ხეობის საკურორტო პოტენციალს უდიდესი ეკოლოგიური ზიანი მიადგა. არანაკლები ზარალი განიცადა ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელსაც საკურორტო სეზონზე ბინა ჰქონდა გაქირავებული და შემოსავალს ელოდა.

* * *

დაბოლოს, ნათქვამია, „კვამლი უცეცხლოდ“ არ არსებობს. ცეცხლი ხომ „ვიღაცამ“ გააჩინა. რა მიზნით? რას ემსახურებოდა ჩანაფიქრი? ვერსია ბევრნაირია, დაუდევრობა, დივერსია,ბოიკოტი, საბოტაჟი, უპასუხისმგებლობა, შეთქმულება ქვეყნის წინააღმდეგ და სხვა.

ამ კითხვებს კომპეტენტურმა ორგანოებმა პასუხი დროულად უნდა გასცეს, საქართველოში სერიოზულად და საეჭვოდ გახშირდა ხანძრები, მოსახლეობა ობიექტური გამოძიების მოლოდინშია.

დასკვნის სახით ვიტყვი, თუ შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვს ადამიანს, ხანძრის გაჩენას წინ არაფერი დაუდგება, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხანძრის საერთო შედეგი კატასტროფულია. ხის გაზრდას 80-100 წელი ესაჭიროება.

საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გვმოძღვრავს „ბუნება იქცევა ისე, როგორც იქცევიან ადამიანები. თუ ადამიანები ცუდად იქცევიან, ცუდად იქცევა ბუნებაც. ჩვენ ამის არაერთი მაგალითი გვაქვს მთელი პლანეტის სივრცეში“.

ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ბატონი ომარ მარგველაშვილი ამასწინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერდა „არაფერი ეშველება ქვეყანას, სადაც ერთი თაობის მიერ შექმნილს მეორე მიწასთან ასწორებს“.

როგორც კი თავი დამოუკიდებლად დავიგულეთ, ვჩეხავთ და ვკაფავთ საქართველოს უნიკალურ საგანძურს და კაპიკად ვყიდით უცხოეთში. ანალოგიურს ჩავდივართ დღეს. მერე მაგიდას შემოვუსხდებით და სამშობლოს სადღეგრძელოს შევსვამთ.

სამშობლო მხოლოდ სადღეგრძელოებში გვახსენდება. ქვეცნობიერად კი მასზე ისე ვფიქრობთ, როგორც მეწველ ძროხაზე. არ დაეხმარები ბუნებას და არ იქნება ტყე, წყალი, ჰავა, ფაუნა და ფლორა, სხვა უამრავი სიკეთე, რასაც სამშობლო გვაძლევს...

ფრთხილად, ბარბაროსებო!

ვალერიან ლომიძე,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი

გიორგი ოვაშვილის „ხიბულა“ საფრანგეთის კინოთეატრებში

ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე ქართული პრემიერის შემდეგ, გიორგი ოვაშვილის სრულმეტრაჟიან მხატვრულ კინოსურათს „ხიბულას“ ფრანგულ კინოთეატრებში აჩვენებენ. ამის

შესახებ ინფორმაციას ეროვნული კინოცენტრი ავრცელებს. კინოაფიშები საფრანგეთის რამდენიმე ქალაქში 15 ნოემბრიდან გამოჩნდება.

გიორგი ოვაშვილის ახალი ნამუშევარი უკვე გახდა რამდენიმე ფესტივალის პრიზიორი და მსოფლიო პრესის ყურადღებაც მიიქცია.

ფილმი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შესახებ მოგვითხრობს. მასში ასახულია ქვეყნის უახლოესი წარსული.

„ხიბულა“ „სიმინდის კუნძულისა“ და „გაღმა ნაპირის“ რეჟისორის მესამე გახმაურებული ნამუშევარია.

„შეისწავლე ისტორია - გახდი მკვლევარი“

შსს-სა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტის —„შეისწავლე ისტორია — გახდი მკვლევარი“ გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი შს სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტის დასკვნით შეხვედრას დაესწრო.

შეხვედრაზე პროექტის მონაწილე ჯგუფებმა საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაცია წარმოადგინეს. ჟიურიმ მათ შორის საუკეთესო გამოავლინა. გამარჯვებული გახდა თბილისის №126-ე საჯარო სკოლის გუნდი. პროექტის ყველა მონაწილეს სიმბოლური საჩუქარი გადაეცა, გამარჯვებული ნაშრომი კი შსს-ს არქივის ჟურნალ „საარქივო მოამბეში“ დაიბეჭდება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა №1 კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეები ნაშრომისთვის — „სპეცსამსახურების სათავეებთან, ისტორია და მუშაობის სპეციფიკა“ სპეციალური პრიზით დააჯილდოვა.

პროექტში 5 ჯგუფი მონაწილეობდა. საჯარო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა საკითხები თემატური ბლოკიდან — „უახლესი ისტორია“ შეარჩიეს. თითოეული მათგანი, შსს-ს არქივის თანამშრომლების მხარდაჭერით, შერჩეულ თემაზე ინდივიდუალურად მუშაობდა.

პროექტის მიზანი იყო შსს-ს არქივში დაცული და საზოგადოებისთვის უკვე ხელმისაწვდომი საქართველოს უახლესი ისტორიის მასალებით პროფესიონალი მკვლევარების გარდა ახალგაზრდების დაინტერესება.

ჯუანშერ ვათაძე

ვინ იყვნენ პირველი ქართველი დასავლეთევროპელები?

ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი

ასეთივე დახვეწილ ქართველ დასავლეთევროპელად განვიხილავთ ბატონიშვილ ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონს (1674-1711წწ.), რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ასაკში დაასრულა სიცოცხლე, ღირსეულად იღვაწა თავისი სამშობლოსათვის. ალექსანდრე ფეოდალურად დანაწევრებული საქართველოს ქართლისა და კახეთის მეფეთა შთამომავალი იყო: მამის არჩილის მხრივ იგი ქართლის მეფის ვახტანგ V შვილიშვილი იყო, ხოლო დედის ქეთევანის მხრივ — თეიმურაზ I-ის შვილთაშვილი. იგი თბილისში დაიბადა და დაწყებითი განათლება უფროს დასთან დარეჯანთან ერთად ქართლის სამეფო კარზე მიიღო. ბავშვობიდანვე ალექსანდრეს თანდაყოლილი ჰქონდა ჰუმანიტარული საგნებისადმი და, იმავდროულად, მათემატიკისადმი მიდრეკილება, რამაც მისი მომავალი მოღვაწეობის სარბიელი განსაზღვრა.

XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილმა დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ ჯერ იმერეთის, შემდეგ კახეთის მეფე არჩილ II, რომელსაც სპარსეთის შაჰი სულეიმანი მეუღლის წართმევას უპირებდა, იძულებული გახდა, რუსეთის მეფის თეოდორე ალექსის ძისათვის თავშესაფარი ეთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. 1685 წლის დეკემბრიდან, როდესაც ქართველი მეფე მოსკოვში დიდი პატივით მიიღეს, არჩილი თავისი ოჯახით რუსეთის დედაქალაქში დამკვიდრდა. ეს პერიოდი 1690-იანი წლების დამდეგის ჩათვლით რუსეთისთვისაც მეტად მშფოთვარე აღმოჩნდა, რადგან თეოდორე ალექსის-ძის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ ტახტის მემკვიდრედ ახალგაზრდა პეტრე ალექსის ძის აღიარებას შეეწინააღმდეგა გარდაცვლილი მეფის და სოფიო ალექსის ასული, რომელსაც პეტრე უკანონო მემკვიდრედ მიაჩნდა, ამის გამო სოფიომ სტრელეცებისა და თავისი ფავორიტის ვასილი გოლიცინის მხარდაჭერით იმას მიაღწია, რომ რუსეთის ტახტი პეტრესთან ერთად სოფიოს ღვიძლმა ძმამ, ავადმყოფმა და გონებაჩლუნგმა იოანე ალექსის ძემ დაიკავა, ხოლო სახელმწიფოს რეგენტად სოფიო ალექსისასული დაინიშნა. ამ მოვლენების მომსწრე არჩილ II-ის მიმართ კეთილად განწყობილმა სოფიო ალექსის ასულმა იმასაც მიაღწია, რომ არჩილის თანხმობით მისი უფროსი ვაჟიშვილი, 13 წლის ალექსანდრე თანატოლ თავადის ასულ ფეოდოსია მილოსლავსკაიაზე დააქორწინა, რომელიც სოფიოს ახლო ნათესავად, თითქმის ბიძაშვილად ეკუთვნოდა. ამ ქორწინების შედეგად არჩილ მეფისა და მისი ოჯახის მდგომარეობა რუსეთის სამეფო კარზე იმდენად გამყარდა, რომ ტახტზე ახალაღზევებულ პეტრე ალექსის ძის საცოლედ ალექსანდრეს უფროსი და დარეჯანი მოიაზრებოდა, თუმცა გარკვეულმა მიზეზმა, რომლის შესახებ დაწვრილებით იქნება ნათქვამი წინამდებარე ნაშრომის მომდევნო განაკვეთში, ხელი შეუშალა ამ ქორწინების განხორციელებას.

არჩილ II.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №198, 199

მიუხედავად ამისა, ნათესაობრივზე უფრო მკვიდრი მეგობრული ურთიერთობა დამყარდა ალექსანდრესა და პეტრეს შორის, რომელიც მხოლოდ წლინახევრით იყო უფროსი თავის ახალშეძენილ ქართველ მეგობარზე. რუსეთის ახალგზრდა მეფის სხვა მეგობრებს შორის ალექსანდრე გამოირჩეოდა თავისი ფართო განათლებითა და მათემატიკური ნიჭით. პეტრემ და მისმა რუსმა მეგობრებმა ალექსანდრე ჩართეს თავის ე.წ. შესაქცევარ სამხედრო თამაშებში, რომლებიც მოსკოვის შემოგარენში იმართებოდა: მათი მონაწილეთაგან მომდევნო წლებში ცნობილი პრეობრაჟენსკისა და სემიონოვსკის პოლკების ძირითადი კონტინგენტი ჩამოყალიბდა. ალექსანდრე თითქმის ყოველთვის თან ახლდა პეტრეს, როდესაც იგი ე.წ. „ნემეცკაია სლობოდას“ ეწვეოდა ხოლმე, სადაც სხვადასხვა დასავლეთევროპელი ქვეყნის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ დიპლომატების, სამხედრო პირებისა და სოვდაგრების ჩათვლით. ბევრ მათგანთან პეტრეს კეთილგანწყობილი ურთიერთობა აკავშირებდა და მისთვის საინტერესო ინფორმაციას ღებულობდა საზღვარგარეთის ქვეყნებში მომხდარ მოვლენებსა და ყოველგვარ სიახლეზე, რაც მას ზედმიწევნით აინტერესებდა. მოსკოვში არსებულ უცხოელთა ამ დასახლებასთან ურთიერთობა დაუმყარდა არჩილ მეფესაც: რუსეთის დედაქალაქში დაფუძნებიდანვე იგი შეუდგა მრავალმხრივ შემოქმედებით და პრაქტიკულ საქმიანობას, რომელიც საწყის ეტაპზე ისეთ მნიშვნელოვან საკითხს დაუკავშირდა, როგორიც იყო სახაზინო სტამბაში ქართული საერო და სასულიერო წიგნების ბეჭდვა, რაზეც არჩილს მთავრობის ნებართვა ჰქონდა მიღებული. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა ადვილი არ აღმოჩნდა, რადგან რუსმა მესტამბეებმა ვერ შეძლეს ქართული ნუსხა-ხუცურისა და მხედრული შრიფტის შექმნა. ამ პრობლემის დაძლევაში არჩილს დახმარება აღმოუჩინეს „ნემეცკაია სლობოდაში“ მცხოვრებმა შვედმა სწავლულმა იუხან-გაბრიელ სპარვენფელდმა და ჰოლანდიელმა დიპლომატმა იოჰან-ვილემ კელერმა, რომელმაც ხელი შეუწყო არჩილ მეფის უშუალო მიმოწერის დამყარებას ამსტერდამის მაშინდელ ბურგომისტრთან და ცნობილ მეცნიერთან ნიკოლაას ვიტსენთან. ამ უკანასკნელმა არჩილ მეფის დაკვეთა ქართული შრიფტის ნაირსახეობათა შესაქმნელად განათავსა ცნობილი ამსტერდამელი ასოთჩამომსხმელის უნგრელი მიკლოშ კიშის სახელოსნოში, რომელმაც 1686-1687 წწ. დაამზადა ნუსხა-ხუცურისა და მხედრულის ე.წ. პუანსონები და მატრიცები. ქართველი მეფის მიერ გაღებული გასამრჯელო შესრულებული სამუშაოსათვის მ. კიშმა ი.-გ. სპარვენფელდისაგან მიიღო და ქართული შრიფტის პუანსონები და მატრიცები მასვე, როგორც შუამავალს დამკვეთსა და შემსრულებელს შორის, სტოკჰოლმში გადაუგზავნა.

XVII საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს მოვლენები რუსეთის სამეფო კარზე ისე განვითარდა, რომ პეტრე I-მა შეძლო, დაეძლია თავისი არაკეთილმოსურნე რეგენტის სოფიო ალექსის ასულის მიერ მის საწინააღმდეგოდ გამიზნული სტრელეცების ამბოხება, ხოლო თვით სოფიოს ჩამოართვა რეგენტის უფლებამოსილება და მონასტერში გამწესა. რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა იოანე V და, ამდენად, პეტრე I აღიარებულ იქნა რუსეთის ერთმმართველ მეფედ. ამ მოვლენების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც პეტრემ განახორციელა, ის გახლდათ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, უპირატესად ჰოლანდიაში, წარგზავნა რუსეთის ე.წ. „დიდი ელჩობა“, რომელსაც ინკოგნიტოს დაცვით, თვითონ ჩაუდგა სათავეში. მასთან ახლომდგომთაგან შემდგარ შვიდკაციან ამალაში მეფისათვის ყველაზე ახლობელ პირად ითვლებოდა ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი, რომელიც მას თან ახლდა თითქმის ყველა ოფიციალურ შეხვედრებზე, ისევე როგორც ჰოლანდიიდან ინგლისში ნახევარწლიანი ერთობლივი ვიზიტის განხორციელებისას ჰოლანდიის შტატჰალტერისა და ინგლისის მეფის ვილჰელმ III ორანელის მიწვევით.

სოფიო ალექსის ასული რომანოვა.

ჰოლანდიაში მყოფი „დიდი ელჩობის“ მონაწილეთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პასუხსაგები დავალება ალექსანდრე ბაგრატიონს დაეკისრა: პეტრემ გაითვალისწინა მისი მიდრეკილება მათემატიკისადმი და ხელი შეუწყო მის ჩარიცხვას ჰაგის ე.წ. რაინდთა აკადემიაში საარტილერიო საქმის ასათვისებლად. ამის გამო ალექსანდრეს „დიდი ელჩობის“ რუსეთში დაბრუნების შემდეგ ჰოლანდიაში თითქმის ორი წლის მანძილზე მოუხდა ყოფნა, როდესაც ჯერ ჰაგის რაინდთა აკადემიაში, ხოლო შემდეგ უტრეხტის ამავე პროფილის დაწესებულებაში გაიარა კურსი შესაბამისად თეორიული მომზადებისა, ხოლო მისი ათვისების შემდეგ, მაღალი რანგის სპეციალისტის ოფიცერ იან გოშკას მეთვალყურეობით — საარტილერიო საქმეში პრაქტიკული მომზადებისა, რის შედეგად მას სათანადო კვალიფიკაცია მიენიჭა. ამ ხნის განმავლობაში ალექსანდრემ შესანიშნავად აითვისა ჰოლანდიური ენა და შესაძლებლობა მიეცა რეგულარული საგანმანათლებლო კავშირურთიერთობა დაემყარებინა ზემოთ მოხსენიებულ ამსტერდამის ბურგომისტრთან ნიკოლაას ვიტსენთან, რომელიც ზედმიწევნით ყურადღებიანი აღმოჩნდა ქართველი ბატონიშვილის მიმართ, რასაც ხელი შეუწყო ამ უკანასკნელის მამასთან, არჩილ II-სთან, ბურგომისტრის მიმოწერის მეშვეობით ნაცნობობამ. ალექსანდრე ბაგრატიონსა და ნიკოლაას ვიტსენის შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგს წარმოადგენდა მათ მიერ შედგენილი „ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი“, რომელიც პირველნაბეჭდი „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ (1629წ.) და ფ.-მ. მაჯოს „ქართული გრამატიკის“ (1643წ.) შემდეგ დასავლეთ ევროპაში მესამე შემთხვევა იყო ქართული ენისადმი ინტერესის გამჟღავნებისა. „ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონის“ სრული ტექსტი ნ. ვიტსენის ცნობილი ნაშრომის „ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ თათრეთის“ („Noord en Oost Tartarien“) მეორე გამოცემაში (1705წ.) საქართველოს შესახებ ვრცელ განაკვეთთან ერთად გამოქვეყნდა. ნ. ვიტსენის ნაშრომის პირველ გამოცემასთან შედარებით საქართველოს შესახებ განაკვეთი აქ მნიშვნელოვანწილად იყო შევსებული ავტორის ალექსანდრე ბატონიშვილთან შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგად. ნაშრომის ამავე თავში პირველად გამოქვეყნდა ორი ქართველი მეფის ერეკლე I-სა და არჩილ II-ის მანამდე უცნობი პორტრეტული გამოსახულებები; ამასთან ერთად, იქვე წარმოდგენილი იყო არჩილ მეფის ამსტერდამის ბურგომისტრისადმი მოსკოვიდან გაგზავნილი წერილის ქართული ტექსტის ანაბეჭდი.

ჰოლანდიაში სწავლების კურსის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე ბაგრატიონი მოსკოვში დაბრუნდა, სადაც პეტრე I-ის უახლოესი თანამშრომელი გახდა რუსეთში საარტილერიო საქმის განვითარების განხრით. პეტრეს საგანგებო ბრძანებულებით ალექსანდრე ცნობილი საგანგიოს „პუშკარსკი პრიკაზის“ უფროსად დაინიშნა, ხოლო 1700 წლის 19 მაისის ბრძანებულებით მას რუსეთში პირველს მიენიჭა გენერალ-ფელდცოიხმაისტერის წოდება. ამ პერიოდისათვის პოლიტიკური ვითარება ისე განვითარდა, რომ ე.წ. „ანტითურქული ლიგის“ ფაქტობრივი დაშლის შემდეგ, რომლის წევრად სხვა ევროპულ ქვეყნებთან ერთად რუსეთიც ითვლებოდა, პეტრე I-მა ყურადღება შვედეთისკენ

წარმართა, რომელსაც ჩრდილოეთით მდებარე რუსული ტერიტორიის მიკერძოებაში ადანაშაულებდა. ჩრდილოეთის ომი (1700-1721 წწ.) ზამთრის დამდეგის ვითარებაში დაიწყო ნარვის ციხე-სიმაგრის დალაშქვრით. ამდენად ალექსანდრე ბატონიშვილმა ახალი თანამდებობისა და მაღალი სამხედრო წოდების რანგში დაგეგმილი ღონისძიებებიდან მხოლოდ მცირე ნაწილის განხორციელება მოასწრო, რადგან 1700 წ. ნოემბრიდან ნარვის ციხე-სიმაგრისაკენ პირადად წარუძღვა რუსეთის არტილერიას. ნარვასთან გამართული ბრძოლა შვედეთის ჯარის ავანგარდთან, რომელსაც კარლოს XII მეთაურობდა, რუსეთის ბევრად ჭარბი რაოდენობის ჯარისათვის იმდენად წარუმატებელი აღმოჩნდა, რომ ალყაშემორტყმული მნიშვნელოვანი ნაწილი რუსი მეომრებისა — ოფიცრებისა და პეტრეს ცნობილი გენერლების ჩათვლით — დატყვევებულ იქნა. ტყვეობაში აღმოჩნდა აგრეთვე ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონიც თავისი ამალითურთ, რომელსაც ძირითადად ქართველები წარმოადგენდნენ. ტყვედქმნილი ქართველი ბატონიშვილის შვედეთში ყოფნა ათ წელზე მეტი ხნით განისაზღვრა, რაც იმით აიხსნებოდა, რომ პეტრესადმი სიძულვილით განმსჭვალულმა კარლოს XII თავისი მეტოქისათვის ზედმეტი უსიამოვნების მისაყენებლად უარყო რუსი მეფის მიერ შვედებისათვის არაერთგზის შეთავაზებული მეტად მომგებიანი პირობები ალექსანდრე ბაგრატიონის გასაცვლელად (ერთ შემთხვევაში ამ მიზნით შეთავაზებული იყო ქართველი ბატონიშვილის გაცვლა რუსებთან ტყვეობაში მყოფ შვედურ ბატალიონზე ოფიცრებითურთ!).

ასეთ ვითარებაში შეუძლებელი გახდა, ალექსანდრეს ტყვეობიდან გამოხსნაზე ზრუნვა ცნობილ პოლტავის ბრძოლამდე (1709წ.), რომლის შემდეგ შვედეთის მთავრობა იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო და ტყვედქმნილი რუსი გენერლების ეკვივალენტურ გაცვლაზე დათანხმებულიყო. მაგრამ მანამდე, თითქმის ცხრა წლის განმავლობაში, ალექსანდრე ბაგრატიონს ტყვეობაში მოუხდა ყოფნა, რასაც იგი, მშობლებსა და ახლო ნათესავებს მოწყვეტილი, ძნელად იტანდა. ტყვეობის პირობების დაძლევას უდავოდ ხელს უწყობდა მისი შემოქმედებითი მისწრაფებები. სტოკჰოლმის ცენტრალური უბ-

ნის (გამლა სტანის) პრესტიჟულ შენობაში თავისი ამალითურთ განთავსებული ქართველი ბატონიშვილი ტყვეობის პირველივე წლიდან აქტიურად შეუდგა მთარგმნელობით საქმიანობას (რუსული ენიდან მან ქართულად თარგმნა ცნობილი სასულიერო მოღვაწის სიმეონ პოლოცკის ნაშრომები) და, ამასთან ერთად, აითვისა შვედური ენა, რამაც ხელი შეუწყო ორმხრივ სასარგებლო კონტაქტებს ცნობილ შვედ მოღვაწეებთან: ძველი ისტორიის მკვლევარ ულოფ რიუდბეკ (უფროსთან) და მის შვილთან ენათმეცნიერ ულოფ რიუდბეკ (უმცროსთან), აღმოსავლეთმცოდნე მიკაელ ენემანთან, სამეფო კარის მხატვრებთან მარტინ მეიტენსთან და ელიას ბრენერთან, რომლებმაც ალექსანდრე ბაგრატიონის შესანიშნავი პორტრეტული ტილოები შექმნეს, პოეტ ქალბატონ ელისაბედ - სოფიო ბრენერთან და მის ნათესავთან, აღმოსავლეთმცოდნე ჰენრიკ ბრენერთან, რომელიც ალექსანდრეს ახლო მეგობრად ითვლებოდა, სამეფო კარის მკურნალ ექიმთან ურბან ჰიარნესთან და სხვებთან. ქართველ უფლისწულს განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა ჰქონდა სამეფო ოჯახის წევრებთან — ქვრივ დედოფალთან ჰედვიგ-ელეონორასთან და მის ორ შვილიშვილთან, პრინცესებთან ჰედვიგ-სოფიასთან, რომელიც ალექსანდრეს მიმართ ახლო ურთიერთობით გამოირჩეოდა, და ულრიკა-ელეონორასთან, შვედეთის მომავალ დედოფალთან.

ქართველი ბატონიშვილის ასეთი მნიშვნელოვანი ურთიერთობების დამყარებას დიდად შეუწყო ხელი შვედეთის სამეფო კარის ცერემონიიმეისტერმა, ცნობილმა სლავისტმა და გოთების განსახლების ისტორიის მკვლევარმა იუხან-გაბრიელ სპარვენფელდმა, რომელიც ომამდე მოსკოვის „ნემეცკაია სლობოდაში“ ცხოვრობდა და აღმოსავლურ ენებს (სპარსულს და თურქულს) არჩილ მეფესთან სწავლობდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰოლანდიელი ი. კელერი და ი. სპარვენფელდი არჩილ მეფეს დაეხმარნენ ამსტერდამში ქართული შრიფტის შექმნაში და სტოკჰოლმში სწორედ ამ უკანასკნელთან ინახებოდა ქართული შრიფტის პუანსონები და მატრიცები, რომელთა მოსკოვში გადაგზავნა მან ვერ მოასწრო ომის დაწყების გამო. ამიტომ ალექსანდრე ბატონიშვილის შვედეთის დედაქალაქში დამკვიდრებიდან მის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ამ პუანსონებისა და მატრიცების საფუძველზე ქართული შრიფტის ჩამოსხმა-ჩასწორება და არჩილ მეფისათვის მოსკოვში მისი გადაგზავნა. ყოველივე ამას ალექსანდრემ ი. სპარვენფელდის დახმარებით სტოკჰოლმის ჰენრიკ კეისერ III-ის სტამბაში მიაღწია და ქართული შრიფტის დახვეწილი ნაირსახეობები შვედეთის მთავრობის ნებართვით მოსკოვში არჩილ მეფეს გადაუგზავნა. მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელა არჩილ მეფემ 1705 წელს რუსეთში პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის "დავითნის" გამოქვეყნება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„ქართველებს არ უყვართ სიტყვა „გრუზია“, მათ „საქართველო“ უფრო მოსწონთ“

2018 წელს ლიტველები საჩუქარს უმზადებენ ქართველ ხალხს და საქართველოს არა „გრუზიად“, არამედ „საქართველოდ“ მოიხსენიებენ. ლიტვის სეიმის სპიკერი ვიქტორას პრანცკეტისი საქართველოსთვის ამ ტიპის საჩუქრის გაკეთების ინიციატივით გამოდის.

„ქართველებს არ უყვართ სიტყვა „გრუზია“, მათ „საქართველო“ უფრო მოსწონთ“, — მიაჩნია ლიტვის სეიმის სპიკერს, რომლის იდეასაც მხარს სეიმის რამდენიმე დეპუტატიც უჭერს.

ჯერ კიდევ 2013 წელს For.ge წერდა, რომ მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე „გრუზიას“ „გეორგიათი“ შეცვლას ითხოვდა და ამ მოწოდებით მეგობარ ლიტვას მიმართავდა. თუმცა მაია ფანჯიკიძის მიმართვა მიზნად ისახავდა ტერმინ „გრუზიას“ ჩანაცვლებას არა ტერმინ „საქართველოთი“, არამედ „გეორგიათი“.

„სახელწოდება „გრუზია“ ლიტვურ ენაში რუსულიდან შევიდა, რაც, შესაძლოა, საბჭოთა კავშირში ჩვენი ერთობლივი ისტორიის შედეგი იყოს. სახელწოდება „გრუზია“ — ეს მხოლოდ რუსეთის მემკვიდრეობაა და არაფრით არ არის დაკავშირებული განახლებულ ქართულ სახელმწიფოსთან. მიმაჩნია, რომ „გეორგია“ ჩვენთვის უფრო შესაბამისი სახელწოდებაა“, — ასეთი იყო მაია ფანჯიკიძის მოსაზრება.

იმ პერიოდში რუსული გამოცემა სიხარულით იუწყებოდა, რომ ოფიციალურ ვილნიუსში ქართველი მინისტრის ენობრივ ოპტიმიზმს არ იზიარებდნენ და რუსული „გრუზიას“ ქართული „გეორგიათი“ შეცვლა არავის სურდა.

სხვათა შორის, მაია ფანჯიკიძემდე ამ საბჭოური გადმონაშთის ტოპონიმიკიდან ამოძირკვას ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძეც ცდილობდა. ამ მიზნით მან სხვადასხვა ქვეყანასაც მიმართა, ძირითადად მაინც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, სადაც სოციალისტური გავლენა ძლიერი იყო. შესაბამისად, რუსეთის მიმბაძველობით ეს ქვეყნებიც „სცოდავდნენ“ საქართველოს დასახელებისას და მას „გრუზიად“ მოიხსენიებდნენ.

თუმცა იმ დროს ლიტვური ენის სახელმწიფო კომისია „გრუზიას“ „გეორგიად“ შეცვლის იურიდიულ ან სამეცნიერო საფუძველს ვერ ხედავდა. უფრო მეტიც, ლიტვური ენის სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელი რეგინა დობელენე მაშინ აცხადებდა, რომ ქვეყნის ოფიციალური სახელწოდება საქართველო იყო, იქაური მცხოვრებლები კი თავს ქართველებად მოიხსენიებენ. ამდენად, თუკი ქართველები მათ მიმართავდნენ, რომ „გრუზიას“ ნაცვლად ამ ქვეყნისთვის „საქართველო“ ეწოდებინათ, მაშინ კომისიის გადაწყვეტილება სხვაგვარი იქნებოდა.

როგორც ჩანს, იმ პერიოდში ლიტველებს არც დასახელება **„გეორგია“** მოეწონათ, არც — **„ჯორჯია“** და ისევ ავტოქტონური დასახელება — **„საქართველო“** შემოგვთავაზეს.

რაც შეეხება დღევანდელობას, For.ge დაინტერესდა, რამდენად აუცილებელი იყო ტერმინ „გრუზიას“ ჩანაცვლება და ხომ არ გაუჭირდებოდათ უცხოელებს სიტყვა „საქართველოს“ წარმოთქმა?!

ისტორიკოსი **გიორგი ოთხმეზური** ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ საქართველოს სხვადასხვა სახელწოდება — „გეორგია“, „ჯორჯია“, „ხეორხია“ თუ „გრუზია“, — ყველაფერი ეს ირანული „გურგ“, „გორგ“-იდან მოდის, რაც „მგელს“ ნიშნავს. ანუ „გურჯისტან“ არის მგლების ქვეყანა. მგელი ტოტემურ ცხოველად ითვლებოდა და სიბრძნის, შეუპოვრობის, ამტანობის განსახიერებას წარმოადგენდა.

„საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ამ ტერმინით თუ ვიმსჯელებთ, სწორედ მამაც და ბრძენ ხალხად აღიქვამდნენ ირანელები ქართველებს. აქედან გამომდინარე, ტერმინ „გრუზიას“ ძირი რუსეთთან სულაც არ არის დაკავშირებული. თუმცა დღეს ყველაფერი განიხილება სწორედ რუსეთის საწინააღმდეგო კონტექსტში. ირანელების შემდეგ ამ ტერმინს ყველგან, მთელ მსოფლიოში თავ-თავიანთი ენების შესაბამისი ინტერპრეტაცია მისცეს სხვადასხვა ხალხებმა. ვფიქრობ, ამ ტერმინის ცვლილება არ არის საჭირო და „გეორგია“, „ჯორჯია“ თუ „გრუზია“ გარესამყაროში ისევე დარჩეს, როგორც არის“, — აცხადებს გიორგი ოთხმეზური.

რაც შეეხება ტერმინ „საქართველოს“, ისტორიკოსის აზრით, ამ ძნელად გამოსათქმელ სიტყვაზე გადაწყობა უცხოელებში გაუგებრობასა და დისკომფორტს გამოიწვევს. თუმცა შეიძლება კომპრომისის გამონახვა და „ჯორჯიას“, ან კიდევ „გეორგიას“ გვერდით ფრჩხილებში „საქართველოს“ ჩაწერა.

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ვაჟა კიკნაძე For.ge-სთან საუბარში ამბობს, რომ „საქართველოს“ გამოთქმა ძალზე რთულია უცხოელებისთვის და შესაძლოა, დაბნევაც გამოიწვიოს. თორემ, თავისთავად, ცუდი არ არის, ჩვენი ქვეყნის დასახელება უცხოურადაც იმ ტერმინოლოგიის ადეკვატური იყოს, როგორც ჩვენს ენაზე გამოითქმის.

„დაფიქრებაა საჭირო, რამდენად იქნება ეს ტერმინი გასაგები. „ჰაიასტანი“ რომ დაარქვან სომხეთს და „არმენია“ აღარ ერქვას, მე მგონი, გაუგებარი იქნება მთელი მსოფლიოსთვის. არადა, სომხები სწორედ „ჰაიასტანს“ უწოდებენ თავიანთ სამშობლოს. ისიც ფაქტია, რომ რუსული ვარიანტი „გრუზია“ არ არის მაინცდამაინც სასურველი. იმაზეც უნდა ვიფიქროთ, მარტო ლიტველებმა თუ გვიწოდეს „საქართველო“, მაშინ რა გამოვა? — აცხადებს ვაჟა კიკნაძე და ეჭვობს, ტერმინ „გრუზიას“ იგნორირებამ რუსეთი გააღიზიანოს, რადგან ტერმინი „გრუზია“ რუსული წარმომავლობის არ გახლავთ.

მანანა ნოზაძე

რედაქციისგან: საქართველოს მხოლოდ საკუთარი სახელით მოხსენების აუცილებლობაზე ჩვენს გაზეთში ბევრს და დამაჯერებლად წერდა გაზეთ „თანადგომის“ მთავარი რედაქტორი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ანზორ ბაბუხადია. ჩვენსავე გაზეთში მიმდინარეობდა „დაუნდობელი“ პოლემიკა ამ საკითხის გარშემო. ძალიან კარგია, რომ ლიტველები ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერენ ანზორ ბაბუხადიას წინადადებას. რა თქმა უნდა, ჩვენი ისტორიკოსების, ენათმეცნიერების და საზოგადოების ნაწილის თვალთახედვაც გასათვალისწინებელია, რომ სიტყვა „საქართველო“ ძნელი წარმოსათქმელია და ბევრი ამას ვერ მოახერხებს!.. მაშ, როგორ მოახერხებენ ამას ლიტველები? როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, მალე ლიტველებს მიბაძავენ ესტონელები, ლატვიელები, პოლონელები და ა. შ.

მთავარია, დიპლომატიური არხებით ჩვენი ხელისუფლების დამაჯერებელი თხოვნა დაიგზავნოს ყველა ქვეყანაში, რომ „თანამიმდევრულად, ნება-ნება, საკუთარი სურვილისამებრ, ჩვენი ძველისძველი მიწა-წყალი მოიხსენიონ საქართველოდ! თუნდაც ფრჩხილებში მიუწერონ ჯორჯიას, გეორგიას, გრუზიას (საქართველო)... მომავალი თაობები ამას მიეჩვევიან და ეცოდინებათ, რომ: არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია!

ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲣᲭᲘᲠᲡ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲐ ამერიკული თვითმფრინავების ჩამოგდებით იმუქრება! „რადგან აშშ-მა ჩვენს ქვეყანას ომი გამოუცხადა, სრული უფლება გვაქვს კონტრზომების მისაღებად, მათ შორის აშშ-ის ბომბდამშენების ჩამოგდებისაც, მაშინაც კი, როდესაც ისინი ჩვენს საჰაერო სივრცეში არ იქნებიან“, — განუცხადა ჟურნალისტებს კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიუ-იორკში ყოფნისას. მისი თქმით, ფხენიანი დონალდ ტრამპის ქმედებაზე ყველა საპასუხო ვარიანტს განიხილავს.

ბოლო დროს გაეროს გენერალური მდივნის, ნატოს ხელმძღვანელობის, ამერიკისა და ევროპის ლიდერების მხრიდან იმდენად მწვავე რიტორიკა ისმის ჩრდილოეთ კორეის პოლიტიკის მიმართ, როგორიც თითქმის არ ახსოვს მსოფლიოს უახლეს ისტორიას — ლიდერები უკვე ღიად საუბრობენ ბირთვული ომის საფრთხეზე. მსოფლიო რეალურად დგას კატასტროფის ზღვარზე, თუ არსებობს მექანიზმები, რომელიც მოვლენებს ჩვეულ კალაპოტში გადაიყვანს, ამ თემებზე აშშ-ის სამხედრო აკადემიის ეროვნული უსაფრთხოებისა და ბირთვული დაგეგმარების დოქტორი, ექსპერტი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲐᲘᲡᲐᲘᲐ გვესაუბრება.

— ᲐᲡᲔᲗᲘ რიტორიკა დაგვიანებულიც კი არის, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების ბალანსი დაირღვა და ფაქტობრივად, ბირთვული კლუბის წევრობის პირობებიც ირღვევა — ანუ კლუბი განსაზღვრავდა, ვინ უნდა ყოფილიყო ბირთვული შეიარაღების მქონე სახელმწიფო.

დარღვეულია სამართლებრივი ჩარჩოებიც, რომელიც არეგულირებდა სტრატეგიული ბალანსის მდგომარეობას — ეს არის მასობრივი განადგურების იარაღის გადატანაზე და გადამტანებზე კონტროლი, ანუ ყველა მიმართულებით მოშლილია სიტუაცია, რაც სამი ძირითადი მიზეზით არის გამოწვეული.

პირველი, ეს არის ჩრდილოეთ კორეის მაგალითი, რომელიც უკვე გახდა ბირთვული იარაღის მფლობელი და ის არ ემორჩილება არავითარ შეზღუდვებს.

როდესაც ბირთვულ კლუბს შეემატა კიდევ ორი წევრი, ინდოეთი და პაკისტანი, ესეც მოულოდნელობა იყო საერთაშორისო საზოგადოებისათვის. თავის დროზე „გამოეპარათ“ ამ ორი ქვეყნის მიერ ბირთვული სტატუსის მოპოვება — მათ ერთდროულად ჩაატარეს ბირთვული გამოცდა, მიწისქვეშ ააფეთქეს ბირთვული ბომბები და ამით მსოფლიო ფაქტის წინაშე დააყენეს.

სწორედ ამის შემდეგ შეიცვალა მდგომარეობა კორეაში, რომელმაც შეძლო არა მხოლოდ ბალისტიკური, არამედ თერმობირთვული იარაღის გამოცდაც და ვხედავთ, რომ კორეა ფლობს ყველა ტიპის ბალისტიკურ რაკეტას. ეს არის საშუალო, მცირე და სტრატეგიულ-ბალისტიკური რაკეტები, რომელსაც უფრო შორ მანძილზე შეუძლია ბირთვული ქობინების გადატანა.

გარდა ამისა, ჩრდილოეთ კორეას გაუჩნდა წყალქვეშა ნავები, რომელსაც ასევე შეუძლია ბირთვული იარაღის გადატანა, ამით კორეამ, ბირთვული ტრიადის ყველა კომპონენტი გამოაჩინა და ამით ის ფაქტობრივად, შეუერთდა ბირთვულ კლუბს.

— ეს ნიშნავს თუ არა რომ ბირთვული კლუბის გაზრდასთან ერთად ირღვევა ის ბალანსიც, რაც მიღწეული იყო მსოფლიოში და რამდენად დგება დღის წესრიგში გავლენების ხელახალი გადანაწილების თემა?

— ბირთვულ კლუბში შედის შვიდი ქვეყანა, ეს არის აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, ბრიტანეთი, ჩინეთი, ინდოეთი და პაკისტანი. კიდევ არიან კანდიდატები, რომლებსაც მაპ-ის სტატუსი გააჩნიათ, ესენია: ირანი, ისრაელი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და გარკვეული მონაცემებით ბრაზილიაც, მაგრამ ყველაზე ახლოს კლუბის კანდიდატობასთან არიან ირანი და ისრაელი.

გვახსოვს ის პერიპეტიები, როდესაც ირანზე იყო დიდი ზეწოლა, რომ როგორმე მისი ბირთვული განვითარება შეეფერხებინათ. ისრაელს რაც შეეხება, ამერიკა ყველანაირად ცდილობს, რომ ეს ქვეყანაც არ მივიდეს ამ კონდიციამდე.

— ანუ სურს თუ არა ეს ბირთვულ კლუბს, მსოფლიო რეალურად დგება ახალი წესრიგის დამყარების ფაქტის წინაშე?

— რა თქმა უნდა. როდესაც ბირთვული სახელმწიფო ხდები, შენ უნდა დაიცვა თამაშის წესები, რომელიც მოეთხოვება ბირთვული კლუბის წევრ ყველა ქვეყანას. ეს არის გრძელვადიანი სტაბილურობის გარანტიები.

რაც შეეხება ჩრდილოეთ კორეას, ის ამ პირობების შესრულებას საერთოდ არ აპირებს, მას აქვს ფაქტობრივად, არშემდგარი ქვეყნის სტატუსი, ამავდროულად, მოიაზრება ტერორიზმის სპონსორ ქვეყნად, სადაც არის ავტოკრატიული მმართველობა და ფაქტობრივად, ეს არის თვითლიკვიდაციისკენ მიდრეკილების მქონე ქვეყანა, რომელიც წამსვლელია ნებისმიერ ავანტიურაზე, ანუ მისი შეკავების მექანიზმების ამოქმედება საკმაოდ რთულია.

რუსეთშიც კი, სადაც ავტორიტარული რეჟიმია, პრეზიდენტი უშიშროების საბჭოს გარეშე ვერ მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ანუ ბირთვული კლუბის წევრები ამ სტანდარტებს მეტ-ნაკლებად ასრულებენ, რასაც ვერ ვიტყვით ჩრდილოეთ კორეის ლიდერზე, რომლის დამორჩილება აბსოლუტურად შეუძლებელია და მოლოდ მის ნებაზეა ქვეყანაში ყველაფერი აწყობილი, ანუ ეს არის პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ვერ კონტროლდება პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ ქვეყნის შიგნით...

— ანუ, პირველი პრობლემა არის ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა — დანარჩენ პრობლემებს რაც შეეხება?

— მეორე პრობლემა არის ის, რომ პარიტეტული შეთანხმების სამართლებრივ წესებს არღვევს ისეთი დიდი სახელმწიფო, როგორიცაა რუსეთი. მხედველობაში მაქვს რუსეთის მიერ 1987 წელს აშშ-ის პრეზიდენტ რეიგანსა და საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივან გორბაჩოვს შორის ხელმოწერილი შეთანხმების დარღვევა, რომელიც მცირე და საშუალო ბალისტიკური რაკეტების აკრძალვას გულისხმობს, რამაც ფაქტობრივად, ნულამდე დაიყვანა ბირთვული რბოლა ევროპის კონტინენტზე.

ამ შეთანხმებას მოჰყვა ის, რომ ამერიკელებმაც და რუსებმაც გაიტანეს თავანთი ბალისტიკური რაკეტები ევროპიდან. ეს შეთანხმება ძალაში დატოვა რუსეთმაც, რომელიც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე იყო და ეს ვითარება გრძელდებოდა 2016 წლამდე.

სწორედ, ამ შეთანხმების დარღვევამ გამოიწვია რუსეთსა და ამერიკას შორის პარიტეტის დარღვევა და ეს ორი სუპერბირთვული ქვეყანა კვლავ ჩაერთო ბირთვულ რბოლაში. ეს კარგად ჩანს უკვე ნატოსა და რუსეთის და აშშ-სა და რუსეთის დაპირისპირებებიდანაც.

ნატომ უკვე დაიწყო ბირთვული კონცეფციის აღდგენაზე საუბარი, ხოლო რუსეთმა — ბირთვული მუსკულების დემონსტრირება, რაც გამოჩნდა 2017 წლის სამხედრო წვრთნების დროს, როდესაც რუსეთმა გამოსცადა გაუმჯობესებული ისკანდერ-M, მცირე სიშორის ბალისტიკური რაკეტა.

მაშინ როცა, ორივე მხარე შეთანხმებული იყო, 500-დან 5000 კმ-მდე ბირთვული რაკეტების განადგურებაზე. დღეს ამერიკაც უკვე იძულებულია, რუსეთის მიერ შეთანხმების დარღვევის გამო თავისი ვაკუუმი შეავსოს. ანუ, როდესაც ბირთვული კლუბის ორი ქვეყანა იწყებს ბირთვულ რბოლას, ეს უკვე არის სერიოზული პრობლემა.

— რაც შეეხება მესამე პრობლემას?

— მესამე გამომდინარეობს პირველი ორი პირობის მოშლიდან — ანუ, ის სამართლებრივი რეგულაციები რაც არსებობდა, მთლიანად მოშლილია და ბირთვული კლუბის წარმომადგენლებს უკვე აღარ შესწევთ უნარი, შეაკავონ ბირთვული კლუბის კანდიდატი ქვეყნების ცდუნება — ანუ ვეღარ უზრუნველყოფენ, კანდიდატმა ქვეყნებმა არ მიაღწიონ იმ დონეს, რომ შეუერთდნენ ბირთვულ კლუბს.

— ახალი სამართლებრივი რეგულაციების შემუშავება და შემოღება ვისი პრეროგატივაა?

— ეს გაეროს ეგიდით უნდა მოხდეს, ამიტომაცაა, რომ გაეროს გენერალური მდივანი საუბრობს ამ თემებზე. ალბათ, აუცილებელია ახალი რეგულაციები პარიტეტის შესანარჩუნებლად.

— დავუშვათ, ახალი რეგულაციებიც შემოიღეს, თუ ამასაც არ დაემორჩილა ჩრდილოეთ კორეა, რა მექანიზმი არსებობს მის შესაკავებლად?

— გახსოვთ, ალბათ, რა მექანიზმებიც მოქმედებდა ირანის მიმართ, ეს იყო როგორც ეკონომიკური ასევე, პოლიტიკური სანქციებიც. ჩრდილოეთ კორეაზე ზეწოლა უკვე განხორციელდა და უკიდურესი ფორმა შეიძლება, იყოს სამხედრო ძალის გამოყენება, მაგრამ კლუბის წევრებს შორის კონსენსუსი არ არსებობს, რა მექანიზმები შეიძლება ამოქმედდეს კორეის წინააღმდეგ — როგორც ცნობილია, რუსეთი და ჩინეთი ეწინააღმდეგებიან ამერიკის პოლიტიკას ჩრდილოეთ კორეის მიმართ.

— ამერიკამ უკვე განაცხადა, რომ სამხედრო გზით გადაწყვეტს ამ პრობლემას, მაგრამ როდესაც საქმე გვაქვს ფაქტობრივად, უმართავ ქვეყანასთან, ასეთ შემთხვევაში, სამხედრო მოქმედებები თავისთავად არ ნიშნავს კატასტროფას?

— ამერიკელებმა ისე უნდა ჩაატარონ ოპერაცია, რომ ჩრდილოეთ კორეას არ მისცენ ბირთვული არსენალის გამოყენების საშუალება. სხვა შემთვევაში ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სამხედრო აქციის განხორციელება ყოველგვარ აზრს კარგავს.

ესაუბრა
ᲚᲐᲚᲘ ᲖᲘᲠᲐᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲤᲥᲘᲡᲘᲐᲢᲠᲔᲑᲘ ᲢᲠᲐᲛ�პᲡ ᲡᲐᲨᲘᲨ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲔᲜ

„საშიში შემთხვევა- დონალ ტრამპი“, — ამ სათაურით წიგნი ამერიკელ ფსიქიატრთა ჯგუფმა გამოსცა, რომელსაც ცნობილი ფსიქიატრი ბენდი ლი ხელმძღვანელობს. 27 ავტორს შორის ცნობილი ფსიქიატრები, ლინგვისტები, ანალიტიკოსები და ჟურნალისტები არიან. მათი მტკიცებით, ტრამპი მსოფლიოში ყველაზე საშიში ადამიანია, რადგანაც მას საშიში ფსიქიატრიული დაავადება აქვს.

ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲑᲚᲝᲙᲐᲜ

რუსეთის კომუნიკაციების მინისტრის ნიკოლაი ნიკიფოროვის განცხადებით, ის ინტერნეტ-საიტები, რომლებიც რუსულ კანონმდებლობას არ დაემორჩილებიან, ქვეყნის ტერიტორიაზე ვერ იმუშავებენ. მოქმედი კანონის თანახმად, ვებგვერდები, რომლებიც რუსეთის მოქალაქეებზე პერსონალურ ინფორმაციას ფლობენ, რუსულ სერვერებზე უნდა განათავსონ. „ტელეგრამი და სხვა საიტები, რომლებიც ჩვენს კანონმდებლობას არ დაემორჩილებიან, დაიბლოკებიან. ეს შეეხება არა მხოლოდ ტელეგრამს, არამედ ვატს' აპს, ვიბერს, გუგლს და ფეისბუქსაც. კანონი ყველაზე ერთნაირად ვრცელდება, — აღნიშნა ნიკიფოროვმა.

ᲔᲘᲤᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲡ 300-ᲛᲔᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲓᲐ

პარიზის მთავარი ღირშესანიშნაობა მხიარულ ფერებში გაანათეს. ეიფელის კოშკს გუშინ 300-მემილიონე მნახველი სტუმრობდა. ღირშესანიშნავი მოვლენა პარიზელებმა საზეიმო ღონისძიებებით აღნიშნეს. ეიფელის კოშკთან მუსიკალური შოუ გაიმართა. სახალხო სეირნობები საფრანგეთის დედაქალაქში მთელი ღამე გაგრძელდა.

საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით მსოფლიოში მე-8 ადგილზეა

ფრეიზერის ინსტიტუტის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, რომელიც 2015 წლის პერიოდს აფასებს, საქართველო მე-8 ადგილზე იმყოფება 159 ქვეყანას შორის უმეტესად თავისუფალი სტატუსით. საგულისხმოა ის გარემოება, რომ აღნიშნულ რეიტინგში 2016 წლის კორექტირებული ანგარიშის მიხედვით საქართველო მე-7 ადგილს იყოფდა ავსტრალიასა და მაურიტუსთან ერთად.

„2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო მსოფლიო მასშტაბით 159 ქვეყანას შორის 4 კომპონენტში პირველ ადგილს იკავებს. ეს კომპონენტებია: ზღვრული საგადასახადო განაკვეთი, უძრავი ქონების გაყიდვებზე საკანონმდებლო შეზღუდვები, უცხოურ ვალუტაში საბანკო ანგარიშის ფლობის თავისუფლება, შავ ბაზარზე გაცვლითი კურსები. საქართველო პირველ პოზიციას იკავებს ასევე 5 ქვეკომპონენტში, ესენია ზღვრული საშემოსავლო გადასახადი, ზღვრული მოგების გადასახადი, ბანკების საკუთრების

სტატუსი, საპროცენტო განაკვეთის კონტროლი და ლიცენზირება“ — განუცხადა მედიის წარმომადგენლებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ნინო ჯავახაძემ. მისი თქმით, მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ესტონეთი (მე-10 ადგილი), აშშ (მე-11 ადგილი), ლიტვა (მე-13 ადგილი), დანია (მე-15 ადგილი), ლატვია (მე-17 ადგილი), გერმანია (23-ე ადგილი), შვედეთი (27-ე ადგილი), სომხეთი (29-ე ადგილი), იაპონია (39-ე ადგილი), პოლონეთი (51-ე ადგილი), ხორვატია (72-ე ადგილი), თურქეთი (81-ე ადგილი), სერბეთი (88-ე ადგილი), რუსეთი (მე-100 ადგილი), აზერბაიჯანი (114-ე ადგილი), უკრაინა (149-ე ადგილი).

„რაც შეეხება კონკრეტულ ინდიკატორებს, წინა წელთან შედარებით საქართველოს პოზიციები 5-დან გაუმჯობესდა ისეთ მნიშვნელოვან 3 ინდიკატორში, როგორიცაა მთავრობის ზომა (გაუმჯობესება 4 პოზიციით), საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება (გაუმჯობესება 2 პოზიციით) და რეგულაციები (გაუმჯობესება 2 პოზიციით)“ — აღნიშნა ნინო ჯავახაძემ.

ვიზიტორები მეგობრებს ურჩევენ, საქართველოს ეწვიონ

გარემოსა **და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევის პრეზენტაცია გაიმართა. კვლევის შედეგები საზოგადოებას დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ დავით მარკოზაშვილმა და მონაცემთა კვლევის ჯგუფის წარმომადგენელმა ლაშა გულბიანმა წარუდგინეს.**

კვლევის თანახმად, დაცულ ტერიტორიებზე არსებული სერვისები დადებითად გამოკითხულთა 84%-მა შეაფასა. ვიზიტორთა უდიდესი ნაწილი — 88% აუცილებლად ურჩევს მეგობრებს ეწვიონ საქართველოს დაცულ ტერიტორიებს. გამოკითხულთა 68,8% მომუშავე პერსონალის ვიზიტორისადმი დამოკიდებულებას ძალიან მეგობრულად აფასებს. დაცულ ტერიტორიებზე მოგზაურობისას, თავს დაცულად 88,3% გრძნობს.

კვლევის ფარგლებში, გამოკითხულმა ვიზიტორებმა საკუთარი იდეებიც დაასახელეს, რომელთა განხორციელებითაც დაცული ტერიტორიები მეტად მიმზიდველი გახდებოდა. კვლევის მონაწილეები ძირითადად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, დასასვენებელი ობიექტების გაფართოებას, საკვები პუნქტების გახსნას და ატრაქციების დამატებას ისურვებდნენ.

კვლევა მონაცემთა კვლევის ჯგუფმა სამ დაცულ ტერიტორიაზე: მარტვილის კანიონზე და პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეებში, 2017 წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში ჩაატარა.

სულ გამოკითხა 238 დამთვალიერებელი, რომელთა 43,2% ქართველი ვიზიტორი იყო, ხოლო 56,8% — უცხოელი. გამოკითხვა ინტერვიუერის მიერ ადმინისტრირებადი ქართული, ინგლისური და რუსულენოვანი სპეციალიზებული კითხვარებით მიმდინარეობდა.

ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევას დაცული ტერიტორიების სააგენტო პერმანენტულად ახორციელებს.

თაბორის მთაზე თბილისელებისთვის განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობის სარეკრეაციო სივრცე გაკეთდება

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ტყემალაძე საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და გარემოს დაცვის გაერთიანებული კომისიის სხდომის კომენტირებისას აცხადებს, რომ გაერთიანებულ სხდომაზე ოპოზიციის მხრიდან პოლიტიკური განცხადებები გაკეთდა, რომლებსაც სხდომის შინაარსობრივ მხარესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

გიორგი ტყემალაძის განმარტებით, ერთი საკითხი კვლევიდან გამომდინარე საპარკინგედ შერჩეულ ერთ-ერთ ტერიტორიაზე მიწისქვეშა პარკინგის მშენებლობას და ამისათვის ზონალური ცვლილების მიღებას ეხებოდა.

„მიწისქვეშა პარკინგის მშენებლობისთვის უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით და სატრანსპორტო ზონა 1 შეიცვალოს სატრანსპორტო ზონა 2-ით“, — აცხადებს ტყემალაძე. მისივე თქმით, მეორე საკითხი, თაბორის მთაზე განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობის სარეკრეაციო სივრცეს ეხებოდა.

„თაბორის მთაზე კეთდება განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობის საზოგადოებრივი სარეკრეაციო სივრცე და ამ ზონის მოსაწყობად მთლიანი ტერიტორიის 1 % ტერიტორიაზე უნდა მოხდეს ზონალური ცვლილება, იმისათვის რომ იქ საირიგაციო სისტემების მოსაწყობად დამხმარე ტექნიკური სათავსოების მოსაწყობად შენობა-ნაგებობები განთავსდეს“, — აცხადებს გიორგი ტყემალაძე. მისივე განმარტებით, სიმართლეს არ შეესაბამება ოპოზიციის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თაბორის მთის ტერიტორია, აუქციონზე ერთ ლარად არის ნაყიდი.

„ტერიტორია თაბორის მთაზე ერთ ლარად კი არა აუქციონზე არის ნაყიდი საბაზრო ღირებულებით და მასში თანხობრივად ათობით მილიონი საინვესტიციო ვალდებულებები დევს. იმასაც შეგახსენებთ, რომ როცა კომპანიამ ღია აუქციონზე შეისყიდა ეს ტერიტორია, ისიც დააანონსა, რომ თუ რომელიმე კერძო კომპანიას ექნებოდა ინტერესი, ის მზად

იყო, დაეთმო აღნიშნული პროექტი. შესაბამისად იმაზე საუბარი, რომ აქ რაღაც თანხების ეკონომიაზეა საუბარი, ეს არის სიცრუე.

დღეს კი ჩვენ გადაწყვეტილებას ჩვენ ვიღებთ კონკრეტულად ზონის ცვლილებებთან დაკავშირებით და არა რომელიმე კომპანიაზე საპარკინგე ტერიტორიის გადაცემის თაობაზე“, — აცხადებს გიორგი ტყემალაძე.

ლიბიაში დაკავებულ ქართველ მეზღვაურებს კონტრაბანდა ბრალდებათ

ლიბიაში დაკავებულ ქართველ მეზღვაურებს ბრალი კონტრაბანდის მუხლით აქვთ წაყენებული — აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამმართველოს უფროსი გრიგოლ მიგრაქველიძე. მისივე თქმით, ამჟამად მიმდინარეობს განხილვა საქართველოს დაკავებული მოქალაქეებისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის ოპტიმალური გზების განსაზღვრის მიზნით.მიგრაქველიძის ინფორმაციით, გამომდინარე იქიდან, რომ ლიბიაში საქართველოს წარმომადგენლობა არ ჰყავს, ქართული მხარე იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას თანამოქალაქეებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით.

„ტანზანიის დროშის ქვეშ მცურავი გემის, REX-ის დაკავების შესახებ ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტს ეცნობა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ. დღეისთვის გვაქვს შემდეგი ინფორმაცია, გემზე იმყოფებოდა ეკიპაჟის 11 წევრი, მათ შორის საქართველოს სამი მოქალაქე. გემი გადაყვანილია ტრიპოლის პორტში. ამჟამად, მეზღვაურები იმყოფებიან ქალაქ ტაჟურას დამანის ციხეში. მათ ბრალი ედებათ კონტრაბანდის მუხლით. საქმეს იძიებს ლიბიის პროკურატურა. მეზღვაურების საკითხთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს (რომელიც აკრედიტებულია ასევე ლიბიაში) მეშვეობით. ლიბიაში არსებული შიდა კონფლიქტის, დაძაბულობის და ადგილზე საქართველოს რეზიდენტი საელჩოს საკონსულოს არარსებობის პირობებში, ქართული მხარის ხელთ არსებული საკონსულო დაცვის ბერკეტები საკმაოდ შეზღუდულია. მიუხედავად არსებული სირთულეებისა, ქართული მხარე იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას ჩვენი თანამოქალაქეებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. კერძოდ, ჩვენი თხოვნით მაქსიმალურად გვეხმარებიან ჩვენი უცხოელი პარტნიორები, სახელდობრ, ლიბიაში უნგრეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა. ასევე, რადგან ხომალდის ეკიპაჟის 11 წევრიდან 5 თურქეთის მოქალაქეა, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოც მუშაობს თურქულ მხარესთან, მათი პოზიციის გარკვევასა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე. ამჟამად მიმდინარეობს განხილვა საქართველოს დაკავებული მოქალაქეებისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის ოპტიმალური გზების განსაზღვრის მიზნით“, — განაცხადა გრიგოლ მიგრაქველიძემ.

ტანზანიის დროშის ქვეშ მცურავი გემი REX 30 აგვისტოს დააკავეს.

◎ წინ, საქართველოვ!

მედლები კოსოვოდან

საქართველოს ცხრა წარმომადგენელი (მთავარი მწვრთნელი ზურაბ ანთაური) მონაწილეობს 15 და 17-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც კოსოვო მასპინძლობს. 15-წლამდელთა 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში გურამ გიორბელიძემ ატაცში 108 კილოგრამით ვერცხლის მედალი მოიპოვა. მართალია, თურქ თურან გუნგორსაც ამდენი ჰქონდა დაძლეული, მაგრამ ქართველზე 90 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა და ამ დისციპლინაში ოქროც მას ერგო. სამაგიეროდ, გიორბელიძე შეუდარებელი იყო აკვრაში - 136 კილოთი მან ყველას აჯობა და ორჭიდის ჯამშიც ჩემპიონობა არავის დაუთმო.

62 კგ

1.გურამ გიორბელიძე (საქართველო) – 244 (108+136); 2. დოგან დონენი (თურქეთი) – 235 (106+129); 3. თურან გუნგორი (თურქეთი) – 233 (108+125).

94 კილოში ლაშა თაქთაქიშვილმა იყოჩაღა – სამი ოქროს მედალი დაისაკუთრა: ატაცში (117 კგ) ხუთი, ხოლო აკვრაში (145 კგ) 12 კილოგრამით აჯობა უახლოეს მდევრებს, საბოლოოდ კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე 262 კილოგრამით ავიდა და ვერცხლის მედალოსანს 20 კილოთი გაუსწრო.

94 კგ

1.ლაშა თაქთაქიშვილი (საქართველო) – 262 (117+145); 2. ოსმან ორხანი (თურქეთი) – 242 (109+133); 3. იგორ ოსუჩი (პოლონეთი) – 241 (112+129).

17-წლამდელთა 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში არჩილ მალაყმაძემ 133 კილოგრამი აიტაცა და მესამე ადგილი დაიკავა. ქართველ ძალოსანს სომხებმა – რაფიკ ჰარუთიუნიანმა (135) და არმენ გრიგორიანმა (134) გაუსწრეს. 125 კილოთი მერვე ადგილზე გავიდა ოლიმპიური ჩემპიონის – გიორგი ასანიძის ვაჟი კახი ასანიძე. საბოლოოდ ორჭიდში არჩილ მალაყმაძე (289=133+156) მეხუთე იყო, კახი ასანიძე (283=125+158) კი მეექვსე ადგილს დასჯერდა.

ლექსო ცინცაძე

◎ ლეგიონერი

ამიერიდან - ციმბირში

საქართველოს ნაკრების კვაჭ ჯაბა ბრეგვაძეს გასული სეზონის ბოლოს ინგლისურ „ვუსტერთან“ კონტრაქტი ამოეწურა და ბრიტანელებმა მისი გაგრძელება არ ისურვეს. სხვათა შორის, ზაფხულში „ვუსტერი“ 19-მა მოთამაშემ დატოვა. მთელი არდადეგების განმავლობაში ველოდით ახალ ამბებს ბრეგვაძის შესახებ და აგვისტოს მიწურულსღა გაირკვა, რომ 29 წლის ჰუკერი კარიერას დიდ 10-ში, თბილისის „ლოკომოტივში“ გააგრძელებს.

მაგრამ დრო გადიოდა, საქართველოს ჩემპიონატში 4 ტური მიილია და ჯაბა არ გამოჩენილა. გუშინ კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართველი ბურჯი სეზონს რუსეთის ვიცე-ჩემპიონის რიგებში გაატარებს. საუბარია „კრასნი იარის“ შესახებ.

კრასნოიარსკის ამ გუნდში თამაშობენ „ბორჯღალოსანი“ უკანახაზელები ლაშა მალაღურაძე და გიორგი ფრუიძე, ნოვოკუზნეცკის „მეტალურგში“ ივჯარიდან დაბრუნდა ბურჯი მიხეილ წიკლაური. აქვე არიან ძმები ვალერი და გრიგოლ ცნობილაძეებიც – რუსეთის ნაკრების ვეტერანები. ვალერი მალე 38 წლის გახდება და აქამდე სწორედ ის იყო „იარის“ მთავარი ჰუკერი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლა მას სწორედ ჯაბა ბრეგვაძე შეცვლის, მით უმეტეს, რომ ციმბირელებს ცხელი შემოდგომა ელით.

საქმე ისაა, რომ ორ კვირაში ევროპული საკლუბო ტურნირები იწყება და „კრასნი იარი“ ჩელენჯ კაპზე იასპარეზებს. ეს გუნდი მე-5 პულშია, სადაც მეტოქეებად შოტლანდიური „ედინბურგი“, ინგლისური „ლონდონ აირიში“ და ფრანგული „სტად ფრანსე“ ეყოლება. შეხსენებისთვის: „აირიშში“ ლაშა ლომიძე ირიცხება, ხოლო პარიზულ კლუბში ორი ქართველი ბურჯია – ზურაბ ჟვანია და გიორგი მელიქიძე.

„კრასნი იარი“ პირველ მატჩს „სტად ფრანსეს“ წინააღმდეგ მშობლიურ ქალაქში გამართავს და ესეც სიახლეა: აქამდე „კრასნი იარს“ და „ენისეის“ ევროთასების მატჩების კრასნოიარსკში გამართვის ნება არ ჰქონდათ.

კობა კობახიძე

◎ ტრავმა

ბურჯანაძე 5 თვეს დაისვენებს

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების წევრი ბექა ბურჯანაძე მომდევნო 5 თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს. აღნიშნულ ინფორმაციას „მორაბანკ ანდორას“ ვებ-გვერდი ავრცელებს. როგორც ირკვევა, ბექას მტკივან მარჯვენა მუხლზე ოპერაცია სჭირდება.

ქართველი კალათბურთელი ოპერაციას სან ხოსე დე ვიტორიას საავადმყოფოში „ვიტას ჰოსპიტალში“ გაიკეთებს და მას ხუან აზოფრა უხელმძღვანელებს. „ანდორას“ ვებ-გვერდის ცნობით, ოპერაციის შემდგომი აღდგენითი პერიოდი 5 თვეს გასტანს.

„გვსურდა, რომ თავიდან აგვეცილებინა ოპერაცია, თუმცა, ასეთმა გზამ სიტუაცია უფრო გაართულა. ახლა საუკეთესო გამოსავალი ოპერაციის გაკეთებაა“, – განმარტავს სერხი ფრანსისკო.

შეგახსენებთ, რომ ბექა ბურჯანაძე ტრავმირებული ჯერ კიდევ აპრილის თვიდანაა. თითქოს, თავდაპირველად სერიოზული არაფერი იყო, მაგრამ ქართველი კალათბურთელი პარკეტს ვერ დაუბრუნდა. ბურჯანაძეს აღნიშნული მიზეზით ევრობასკეტ-2017 გაუცდა და ვერც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში დაეხმარება საქართველოს ნაკრებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ბუნდესლიგა

მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ული ჰაინესმა გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან კარლო ანჩელოტის გათავისუფლების მიზეზებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთავარი, რის გამოც იტალიელ სპეციალისტთან თანამშრომლობა შეწყდა, გუნდში შექმნილი არაჯანსაღი სიტუაცია იყო.

„გუნდს ვერ უხელმძღვანელებთ, თუ მისი ყველაზე ცნობილი წევრები თქვენს წინააღმდეგ არიან განწყობილნი. ბოლო დღეებში მწვრთნელმა საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი ხუთ

ული ჰაინესი:

„ანჩელოტის ტაქტმა უმტყუნა“

მნიშვნელოვან ფეხბურთელთან. ასეთი სიტუაციის გაგრძელება შეუძლებელი იყო, ამიტომ უნდა გვემოქმედა“ – განაცხადა ჰაინესმა.

კარლო ანჩელოტი „ბაიერნს“ 2016 წლის ზაფხულიდან თავკაცობდა. მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის ურთიერთობის დაძაბვის შესახებ ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობდნენ – იტალიელ სპეციალისტს განსაკუთრებით არიენ რობენთან და ფრანკ რიბერისთან გაურთულდა კომუნიკაცია.

კლუბის ხელმღვანელობამ ანჩელოტის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში „პსჟ“-სთან განცდილი მარცხის (0:3) შემდეგ მიიღო. ცნობილია, რომ ბუნდესლიგის უახლოეს შეხვედრაში „ჰერტასთან“ მიუნხენელებს ვილი სანიოლი გაუძღვება და სწორედ ამ თამაშის შემდეგ გამოცხადდება ანჩელოტის შემცვლელის ვინაობა.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

პროტეჟეც ასეთი უნდა

კოხტად ჩაკურატებული არგენტინელი მოდელისა და ყოფილი ფეხბურთელის ფლორელა კასტილიოს პოპულარობა და ცნობადობა მას შემდეგ გაიზარდა, რაც ეს უკანასკნელი ბრაზილიაში პლაჟზე წამოდრანგულ ლიონელ მესის გადაეყარა, რომელთანაც ბურთიც მხიარულად გააგორა და არც ფოტოკამერებს დამალვია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბავზე მაშინ, ანუ 2014 წლის ივნისში გარკვეული ჭორებიც დახვავდა და მავანნი იძახდნენ, ლეო მესიმ ფლორელა პლაჟთან ახლომდებარე ბუნგალოში შეიყვანა და „იმასუქნაო“, ფაქტია, რომ ამ ამბავს გაგრძელება არ ჰქონია და ისედაც რთულია მესის მექალთანეობის დაჯერება.

სამაგიეროდ, ფლორელას ცხოვრებაში ყველაფერი ბრწყინვალედ წარიმართა – მისი სახელი მთელმა ლათინურმა ამერიკამ გაიგო და მიუხედავად იმისა, რომ ამ ასულს გვარიანად მომსხო ფერდები აქვს, ისეთი დაშხოშიანი ფერადყდიანი ჟურნალების გარეკანებზე გამოჭიმეს, თქვენი მოწონებული. როგორც ჩანს, მესისთან ბურთის ერთხელ გაგორებასაც კი უსაზღვრო პოპულარობის მოხვეჭა შესძლებია...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სულიერება

წმიდათა მოწამეთა ბიძინასი და ორთა ძმათა ქსნის ერისთავთა - ელიზბარისა და შალვასი



1 ოქტომბერს საქართველოს წმინ

და მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქართველ წმინდა დიდმოწამეებს ბიძინას, შალვას და ელიზბარს.

XVII საუკუნეში საქართველო სპარსელთა სათარეშო ასპარეზად იქცა. შაჰ-აბას პირველი და მისი ძე შაჰ-აბას მეორე განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ კახეთს, ცეცხლის ალში გახვიეს ეკლესია-მონასტრები და ციხე-სიმაგრეები, ათიათასობით ქართველი მშობლიური მიწიდან აყარეს, სპარსეთში „გადარეკეს“ და მათ ნაცვლად სპარსელები ჩაასახლეს...

საგულისხმოა, რომ ამ საუკუნეში მოუვლინა ყოვლადსახიერმა უფალმა ქვეყანას ხსნად და იმედად კახეთის გმირები: ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები.

აღსანიშნავია ისიც, რომ მხნე რაინდს ბიძინა ჩოლოყაშვილს უფალმა კეთილი განზრახვა შთააგონა: მან არაგვისა და ქსნის ერისთავებთან ერთად თავს იდვა კახეთის განთავისუფლება თათართაგან.

1659 წელს ალავერდობის დღესასწაულზე ქართველები მიუხდნენ ალავერდს მყოფ ყიზილბაშებს და ისე გაანადგურეს, რომ არდალანის სულთანმა სელიმ-ხანმა ძლივს მოასწრო გაქცევა სპარსეთში.

ქართველთა ძლევამოსილი მხედრობა ჰმადლობდა ღმერთს და ერის მფარველად წმინდა გიორგი მიაჩნდა.

თავისუფლად ამოისუნთქა კახეთმა, უზომოდ გახარებული თავს ევლებოდა თავის ერთგულ შვილებს... მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა სამშობლოს მხსნელი გმირების ნეტარება. განრისხებულმა შაჰ-აბასმა, ქართლის მეფეს, ვახტანგს უბრძანა ქრისტეს ახოვანი მხედრები მასთან გამოეგზავნა. კახეთის მხსნელი გმირები უდრტვინველად გაემართნენ უკანასკნელ გზაზე... ცბიერმა შაჰმა ისტუმრა ქართველი დიდებულები დიდი პატივით, ანადიმა, ანადირა, მაგრამ შემდეგ პატივისა და სიმდიდრის საფასურად სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა. მაშინ შაჰის ბრძანებით გმირები შეიპყრეს და აწამეს. მრავალი წლის შემდეგ კახეთის მხსნელი გმირები დაკრძალეს იკორთის მთავარანგელოზების სახელობის ტაძარში.

გიული ლიპარტია

ტექდათვალიერება არ გადაიდება, მაგრამ ვერც დაიწყება?!

რაც დროს გადის და ახლოვდება 2018 წელი, მით უფრო დიდი მითქმა-მოთქმაა ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერებასთან დაკავშირებით. დარგის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ დარჩენილ 3 თვეში ვერაფერიც ვერ მოესწრება და ავტომობილების ინსპექტირების ვადა გადაიწევს, რასაც უარყოფს თავად ეკონომიკის მინისტრი. როგორც ჩანს, მთავრობა ადგილობრივი არჩევნების ჩატარებას ელოდება, რათა მოსახლეობას ახალი პირობები გააცნოს.

გიორგი გახარია ტექდათვალიერების ამოქმედების შესაძლო გადავადების საპასუხოდ აცხადებს, რომ „სავალდებულო ტექდათვალიერების ამოქმედება 2018 წლის 1 იანვრიდან იგეგმება და ის არც ერთი დღით არ გადაიდება. პროექტის მესამე ეტაპი დღე-დღეზე უნდა დასრულდეს, რის შემდეგაც სავალდებული ინსპექტირების დროულად და ხარისხიანად ამოქმედებასთან დაკავშირებით მიძღვნილი კამპანია დაიწყება.

„ამ პროექტზე მუშაობს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კომპანია „ესჯიესი“, რომელმაც სამი ეტაპიდან ორი უკვე დაასრულა, მესამეს მივიღებთ თვის ბოლომდე და დაახლოებით ოქტომბრის ბოლოს დაიწყება სპეციალური კამპანია, რომელიც მიეძღვნება ტექდათვალიერების დროულ და ხარისხიან ამოქმედებას.

ტექდათვალიერების ამოქმედება არ ნიშნავს, რომ ერთ დღეს ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება გაივლის დათვალიერებას, ეს იქნება გაწერილი გეგმა ერთი წლის განმავლობაში. პირველი ნაბიჯი იქნება კონტროლის გამკაცრება და შემდგომ უკვე 1 წლის განმავლობაში გვეყოლება მაქსიმალური რაოდენობა მანქანებისა, რომლებიც ამ ინსპექტირებას გაივლიან.

სანამ კომპანიის მიერ დასკვნის საბოლოო ეტაპი არ იქნება წარმოდგენილი სამინისტროში, ეს ყველაფერი არის სპეკულირება და რაღაც ეჭვი მაქვს, რომ ვიწრო კორპორაციული ინტერესებიდან მომდინარეობს“, — განაცხადა გახარიამ.

ამგვარ პათოსს სულაც არ იზიარებს „ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე **ეკა ლალიაშვილი**. მისი აზრით, 2018 წლის 1 იანვრამდე მილიონზე მეტი ავტომობილის ტექნიკური ინსპექტირება ვერ განხორციელდება, რადგან შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არსებობს. ეკონომიკის სამინისტროსგან, რომელიც ტექდათვალიერებას კურირებს, არავითარი კონკრეტული ინფორმაცია არ გაიცემა, თუ რას გეგმავს ხელისუფლება ამ მიმართულებით. პასუხისმგებელ პირთა განცხადებები კი მხოლოდ ზოგადი ხასიათისაა.

„ტექდათვალიერება აქტუალური საკითხია იქიდან გამომდინარე, რომ საგზაო შემთხვევებისას ყველაზე მაღალ რისკჯგუფში არიან ძველ ავტომობილებში მსხდომი მძღოლი და მგზავრები. გარდა ამისა, მეორე და უმნიშვნელოვანესი საკითხია გამონაბოლქვი და ჰაერის ხარისხი, რომელსაც ვსუნთქავთ, ამ მხრივ ძალიან მაღალი რისკის ქვეშ არიან ორსულები და ჩვილი ბავშვები.

ტექნიკური ინსპექტირების ძალაში შესვლამდე, პრაქტიკულად, მხოლოდ 3 თვე რჩება, რომ ამხელა პროცესი წარიმართოს. ჩვენ არარეალურად გვეჩვენება 1 იანვარს რეგულაციების ძალაში შესვლა, რადგან მილიონზე მეტ ავტომობილს აქვს ტექინსპექტირება გასავლელი.

დღეს მხოლოდ 34 ტესტირების ხაზი არსებობს, ხოლო მილიონზე მეტი ავტომობილის შემოწმებას, მინიმუმ, 100 ტესტირების ხაზი მაინც სჭირდება. გვაქვს შეკითხვები, როდის იქნება თუნდაც პირველი კონსულტაცია სამოქალაქო სექტორთან, რათა გავეცნოთ, რა სტანდარტებზეა საუბარი და რა გეგმები აქვს ხელისუფლებას ამ კუთხით“, — განუცხადა „ბიპიენს“ ლალიაშვილმა.

ცნობილია, რომ საქართველომ იკისრა ვალდებულება, რომ 2018 წლის 1 სექტემბრამდე ყველა მანქანის ტექდათვალიერება მოესწრებოდა, თუმცა ეს საკითხი უკვე კითხვის ნიშნის ქვეშაა, ისევე როგორც 3 თვის თავზე ავტომობილების სავალდებულო ინსპექტირების ამოქმედება. გავრცელებული ინფორმაციით, 1 მსუბუქი მანქანის შემოწმება დაახლოებით 60 ლარი ეღირება.

ბექა დანელია

სანთელი

აკაკი ბრეგაძე

ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე აკაკი ბრეგაძე.

აკაკი ბრეგაძე დაიბადა 1928 წლის 2 ივლისს ტყიბულის რაიონის სოფელ ცუცხვათში. იყო მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პროფესორი, 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის — რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი.

აკაკი ბრეგაძე აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იყო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი; საქართველოს პოლიგრაფიის, გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

წარმატებული და ნაყოფიერი შრომითი საქმიანობისთვის ბატონი აკაკი დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით, მინიჭებული ჰქონდა კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს და დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი მის კეთილშობილ სულს. მსუბუქი ყოფილიყოს მშობლიური მიწა ბატონი აკაკი ბრეგაძისთვის, ღირსეული მამულიშვილისთვის, რომელმაც პირნათლად მოიხადა საკუთარი ვალი ერისა და სამშობლოს წინაშე!

ოჯახის წევრები, მეგობრები და კოლეგები

ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, ნათელა ლაღიძე, ლია ნადარეიშვილი, გულიკო დემურია, თამარ ხუციშვილი, მადონა მგელაძე, ლამარა გაგუა, დალი ბოჯგუა, ნანა კეცხოველი, ვიოლა ჯაფარიძე, ცისანა ჩიხლაძე ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ მეგობრისა და კოლეგის, საზოგადო მოღვაწის, ამაგდარი ქალბატონის, სამშობლოს ბედზე ზრუნვაში დამაშვრალი თაობის ნათელი წარმომადგენლის, ღირსეული მამულიშვილის

მარო გონჯილაშვილის

გარდაცვალების გამო.

თანაგრძნობას ვუცხადებთ მის შვილებს, ოჯახის ახლობლებს, ნათესავ-მეგობრებს.

დაკრძალვა თიანეთში 1 X, 14 სთ. ყვარლის ქუჩა №5.

პალიკო კინტრაია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი, ღვაწლმოსილი, უსპეტაკესი ქალბატონი, ყველა გაჭირვებულის დაუღალავი ქომაგი, შესანიშნავი ორგანიზატორი, სამშობლოსთვის თავდადებული ადამიანი

მარო გონჯილაშვილი

დაკრძალვა თიანეთში 1 X.

ჯემალ ცერცვაძე, თენგიზ კალანდაძე, გურამ ჩაგელიშვილი, ჯემალ უგულავა, ბუსკა გეწაძე, ალექსანდრე ჩივაძე, ანტონ თორია, ვასილ მაჭავარიანი სამძიმარს უცხადებენ ბატონ ირაკლი ტრიპოლსკის დედის

ნაზიკო მაისურაძის

გარდაცვალების გამო.

რევაზ, ზაზა, ნიკო თევზაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მურმან ხარაბაძის მეუღლე, უსათნოესი ქალბატონი

ლილიკო სოხაძე-ხარაბაძისა

თანაგრძნობას უცხადებენ მათ შვილებს თამაზ, კოტე ხარაბაძეებს და ოჯახის ახლობლებს.

◎ პარალელები

რამ გამახსენა?

ორ დიდებულ ძმას – ჩვენი დროის მიქელანჯელოს, სულგანათლებულ მერაბ ბერძენიშვილსა და მის ღვიძლს, ბატონ ელგუჯას არასდროს არაფერი ჰქონიათ საერთო „რესპუბლიკელ“ ბერძენიშვილებთან, მით უფრო ჭეშმარიტად დიდი ხელოვანის – ზურაბ წერეთლის შესახებ ლევან ბერძენიშვილისეულ უაზრო პრუტუნთან დაკავშირებით...

ისეთი ჰქონდა ცუგოს იერი,
რომ გარეგნობით არა უშავდა,
ოღონდ ეს არი, მასზე ძლიერი
არ გაუშვა, რომ არ აუშარდა.

ერთხელაც ყეფით წასწვდა უკნიდან
და ნამდვილ ნაგაზს კანჭზე უკბინა.

ღრენა არ წასცდა „მსხვერპლს“ სააუგოდ,
თითქოს რა მოხდა და რა დაშავდა?!
ასწია ფეხი და დინჯად ცუგოს
პირდაპირ თავზე გადააშარდა.

იმ დროს ნანახი ანალოგს ირეკლს
და გენიოსებს რომ აუშარდნენ,
ყველა მათგანი მაგონებს იმ ლეკვს,
თავხედობა რომ გადაუშარდეს!

ალექსანდრე შენგელია
ქუთაისი – თბილისი
2017 წლის 29 სექტემბერი

მცურავი ციხე

ცოტა ხნის წინათ ინტერნეტითაც, მრავალი ქვეყნის ტელეარხებითაც, სრულიად ახალი ტიპის საპყრობილე აჩვენეს – ესაა ხომალდი-ციხე.

უზარმაზარი მცურავი საპყრობილის პროექტი ფრანგმა არქიტექტორებმა შექმნეს ოფშორულ ზონებში მრავალმილიარდიან საფინანსო ოპერაციებში ჩადენილ აფიორებში მხილებულ პირთათვის.

ციხის საკნები ხომალდზე დამონტაჟებულია დიდი ფიჭების მსგავსად, რომლებიც გემბანზე უზარმაზარ „აფრებს“ ჰქმნიან. თითოეულ „აფრაში“ დაახლოებით 3300-მდე პატიმრის განთავსებაა შესაძლებელი. თითოეულ საკანში დაგეგმილია მხოლოდ სამი კედლის აგება, მეოთხის მაგივრად კი იატაკიდან ჭერამდე შუშას ჩასვამენ.

იმის გათვალისწინებით, რომ ყოველ საკანში მხოლოდ ერთი კორუფციონერი იქნება მოთავსებული, თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ საპყრობილეში ყოფნის პირობები ლამის სააგარაკოს მიახლოებული იქნება, თითოეული საკნის ფართი 8 კვადრატული მეტრია, რასაც კიდევ ზღვის ხედი დამატებით „ხიბლს“ შესძენს.

ბოსტნეული და... ფერი

ერთი ჯიშის ზოგი ბოსტნეული ზოგჯერ სხვადასხვა ფერისაა, ამდენად, ბევრი ჩვენგანი დაფიქრებულა იმაზე, თუ რომელია მათში უკეთესი, მეტი სარგებლის მომტანი.

ბოტანიკოსები აცხადებენ, რომ ყველაზე სასარგებლო ბოსტნეული წითელი და ლურჯი ფერისაა. ამ ფერებს ნებისმიერ მცენარეს პიგმენტი ანტოციანი აძლევს, თავის ბუნებით ანტიოქსიდანტს წარმოადგენს, რომელსაც ადამიანის ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებები გამოჰყავს. თუმცა ისეთიცაა, რომ ასეთი **სარგებელი მხოლოდ უმ ბოსტნეულს მოაქვს,** თერმული დამუშავების შემდეგ კი იმას, თუ რა ფერისა იყო ბოსტნეული მანამდე, მნიშვნელობა აღარა აქვს.

მაგალითად, წითელი კარტოფილიდან შეიძლება წვენის გამოწურვა და დროდადრო მისი წამალივით სმა. სალათებისთვის ყველაზე სასარგებლო ხახვია ლურჯი, ასევე იასამნისფერი რეჰანი. რაც შეეხება გემოს, შესაწვავად უფრო გემრიელია ყვითელი კარტოფილი, მოსახარშად კი – წითელი და თეთრი.

თოჯინა მილიონებისთვის



ბარბარა მილისენტ რობერტსი, ანუ უბრალოდ ბარბი, დაიბადა 1959 წლის 9 მარტს. იგი რუთ ჰენდლერმა, პოლონელ ებრაელ ემიგრანტთა ქალიშვილმა და სათამაშოების ფირმის „Hattel“-ის დამაარსებლის მეუღლემ შექმნა. ავტორმა თოჯინას სახელი თავისი ქალიშვილის პატივსაცემად დაარქვა, რომელმაც თითქოსდა დედას იდეა მიაწოდა, რომ სათამაშოსთვის მოზრდილი ქალიშვილის სახე მიეცა. ბარბის მოდელად რუთმა გერმანული მამაკაცებისთვის განკუთვნილი კომიქსების გმირი დოილი გამოიყენა. ამ გმირის თოჯინა რუთმა ევროპაში შეიძინა, ამდენად პირველი ბარბი თავისი გერმანული პროტოტიპის – მკერდსავსე, სექსუალურად გამომწვევი გერმანელი ქალიშვილის – ზუსტი ანალოგი იყო. ამის გამო ამერიკელმა დედებმა თავდაპირველად ბარბი არ მოიწონეს, სამაგიეროდ, მან დაატყვევა მათი ქალიშვილები, რასაც დიდად შეუწყო ხელი კარგად მოფიქრებულმა სატელევიზიო რეკლამამ, რომელსაც საბავშვო პროგრამის „მიკი მაუსის კლუბის“ ჩვენების დროს უშვებდნენ.

1961 წელს ბარბის გაუჩნდა მეგობარი კენი, რომელმაც სახელი ასევე რუთის ვაჟიშვილის პატივსაცემად მიიღო. 1962 წელს კი ბარბი „საკუთარ“ სახლში დასახლდა, 1963 წელს შეიძინა მეგობარი ქალიშვილი ბიჯი, 1964 წელს ეყოლა უმცროსი და, ჟღალთმიანი სკიპერი, 1967 წელს მას გაუჩნდა აფრო-ამერიკელი დეიდაშვილი, ქალიშვილი ფრენსი. 1976 წელს კი, ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის 200 წლის აღსანიშნავად, ბარბი და ქვეყნის სხვა მნიშვნელოვანი გამოგონებები, დროის კაფსულაში ჩადეს, რომელიც შთამომავლებმა 2076 წელს უნდა გახსნან.

1980 წელს კი დაიწყო Barby Dolls-ის საერთაშორისო სერიის გამოშვება: მათ შორის, პირველი იყო ინგლისელი ბარბი. დღესდღეობით კი არსებობს უკვე 40-ზე მეტი ეროვნების ბარბი.

და კიდევ ერთი რამ, არსებობის 58 წლის მანძილზე ბარბიმ 180-ზე მეტი პროფესია გამოიცვალა, ამ დროის მანძილზე იგი იყო მოდური ჟურნალის რედაქტორი, მომღერალი, ასტრონავტი, ქირურგი, ვეტერინარი, საზღვაო ფეხოსანი, პოლიციის ოფიცერი, კორესპონდენტი, პრეზიდენტიც კი...

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ხერხი

ვიეტნამის ომის გამო ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის ყველა ახალგაზრდა გაიწვიეს ომში. მხოლოდ მისტერ ბრაუნის ვაჟიშვილს უკვე მესამედ გადაუვადეს გაწვევა.

– როგორ ახერხებთ ამ გადავადების ამბავს? – ჰკითხა მისტერ ბრაუნს ერთმა ნაცნობმა.

– ძალიანაც ადვილად! – მიუგო ბრაუნმა. – გამწვევი კომისიის თავმჯდომარეს სამი ათას დოლარზე ვუდებ სანაძლეოს, რომ ჩემი შვილი სავსებით ჯანმრთელია და გამოსადეგია სამხედრო სამსახურისთვის და წარმოიდგინეთ, ყოველ ჯერზე ვაგებ სანაძლეოსო.

გამოცდა

ერთმა ახალგაზრდა ამერიკელმა განგსტერობა გადაწყვიტა და ბანდის შეფს მიაკითხა.

– გამოცდის ჩაბარება მოგიწევს, – უთხრა შეფმა. – რამდენი იქნება ორჯერ ორი?

– ოთხი.

შეფმა ეგრევე რევოლვერი დააძრო ჯიბიდან, თანაშემწემ გაკვირვებულმა ჰკითხა, – რა მოხდა, რის გულისთვის კლავ ამ ახალგაზრდა კაცსო.

– რისი გულისთვის და მეტისმეტად მაგრად უმუშავებს თავიო.

საღ არის დამნაშავე?

სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში ზანგს ასამართლებდნენ იმის გამო, რომ თეთრკანიან ქალს აკოცა ქუჩაში.

– ყველა მოწმე ადგილზეა, თვითონ ბრალდებული სად არისო? – იკითხა მოსამართლემ.

– ყველაფერი წესრიგშია, – მიუგო ერთ-ერთმა მოწმემ. – ის უკვე ჩამოახრჩეს, ახლა მხოლოდ განაჩენის გამოტანაღა დარჩაო.

ბნელი საზოგადოება

ჩიკაგოში სასამართლო სხდომაზე მოსამართლე ეკითხება ბრალდებულს:

– დიდი ხანია, რაც ბნელ საზოგადოებაში მოხვდითო?

– ღმერთია მოწმე! – წამოიძახა ბრალდებულმა. – აი, უკვე 15 წელია, რაც პოლიციელთა და მოსამართლეთა წრეში ვტრიალებო.

ტეხასი

ნიუ-იორკის ფოსტაში სკანდალი ატყდა.

– რა ამბავია ერთ ხანმოკლე საუბარში ექვსი დოლარი! – ხელებს იქნევდა და ყვიროდა ერთ-ერთი ახალგაზრდა კაცი, – ჩვენთან ტეხასში ერთ დოლარად შეგიძლია, რომ ჯოჯოხეთშიც კი დარეკო და ტელეფონთან სთხოვო თვითონ ბელზებელსო.

– კი, ბატონო... – ეთანხმება ტელეფონისტი ქალი, – მაგრამ თქვენთან ტეხასში ადგილობრივად ლაპარაკობთ, ჩვენთან კი თქვენ საქალაქთაშორისო ლაპარაკი შეუკვეთეთო.



„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4835; ევრო - 2.9258;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3331;
100 რუბლი - 4.2748; თურქული ლირა - 0.6964;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4637;
1000 სომხური დრამი - 5.2065.

ამინდი 30 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +6 დღე +24
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +24
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +13, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +4, დღე +24
თბილისი: ღამე +10, დღე +19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge